„ა(ა)იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

სოფიკო დიასამიძე

რომაული სამყარო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სპეციალობა: ისტორია History
თემის ხელმძღვანელი: ტარიელ ებრალიძე
პროფესორი

ხიჭაური-2020

ანოტაცია

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში მსოფლიო ისტორიული პროცესების მონაწილეა. ძვ. წ. I საუკუნიდან რეგიონში გააქტიურდა რომის აღმოსავლური პოლიტიკა. მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საქართველოს ზღვისპირეთმა. რომაელებმა აქ შექმნეს ე.წ. „პონტოს ლიმესი“, რომლის ძირითად დასაყრდენს აფსაროსი წარმოადგენდა. წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ რომაულ ხანაში სამხედრო-სტრატეგიულ ურთიერთობებთან ერთად სახეზე გვაქვს სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები.

annotation

The seaside of southwestern Georgia is a participant in world historical processes in ancient times. Rome's Eastern policy intensified from the first century BC. The Georgian seashore occupied an important place. The Romans created a so-called "Pontus limes", whose main base was Apsaros. According to written sources and the latest archeological discoveries, it is confirmed that in Roman times, along with military-strategic relations, we face trade-economic and cultural contacts.

სარჩევი

შესავალი ---------- 5

თავი I. რომის საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთი ---------- 7

თავი II. აჭარის რომაული ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

გონიო-აფსაროსი ---------- 24

თავი III. რომაული ხანის სამარხები ---------- 45

თავი IV. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რომაულ ხანაში

(უახლესი აღმოჩენების მიხედვით)---------- 48

დასკვნები ---------- 52

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 53

შესავალი

თემის აქტუალობა. ნაშრომში განვიხილავთ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს. რომის ინტერესს საქართველოს მიმართ, რომელიც გამოწვეული იყო კავკასიის გადმოსასვლელებზე უპირატესობის მოპოვებით, რადგან ვის ხელშიც იქნებოდა მისი გასაღები, ის შეძლებდა აზიის ფლობასაც შესაბამისად მსოფლიოზე ბატონობასაც. საქართველო, რომ მნიშვნელოვანი იყო ამ ქვეყნებისთვის, ამას აგრეთვე ადასტურებს ამ პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობის გონიო-აფსაროსის გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტებიც. აღსანიშნავია, რომ აქ მოპოვებული მასალა წარმოადგენს რომაული ჯარისკაცების ყოველდღიურ ინვენტარს. მართალია, გონიო-აფსაროსი უფრო მეტად სამხედრო-სტრატეგიული პუნქტია, თუმცა მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო ეკონომიკური კუთხითაც, როგორც რომაელებისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ადგილობრივ და რომაულ სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაჩინო მაგალითია კაპანდიბში, მახოში და ზანაქიძეებში აღმოჩენილი მასალები, რომელებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავაჭრო ურთიერთობებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას.

თემის მიზანი. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე წარმოვაჩინოთ რომის სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

სიახლე და მნიშვნელობა. სამაგისტრო ნაშრომში საუბარია არა მარტო წერილობითი წყაროებზე, არამედ იმ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო წლებში. როგორც აფსაროსის, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი შესდგება შესავლის, ოთხი თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, განსაზღვრულია მიზანი, მოცემულია სიახლე და მნიშვნელობა.

თავი I. რომის საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი. საუბარია რომის იმპერიის აქტიურ საგარეო პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, დაწვრილებით

განხილულია ის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები, რომელიც გააჩნდა რომს კავკასიის, განსაკუთრებით კი საქართველოს მიმართ. ამ მხვრივ, უნდა აღინიშნოს იმპერიის დიდი ინტერესი შავი ზღვის, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მიმართ.

თავი II. აჭარის რომაული ხანის არქეოლოგიური ძეგლები. გონიო-აფსაროსი. ამ თავში ძირითადად განხილულია უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე. იგი წარმოადგენს რომაული ხანის კლასიკურ ძეგლს. კულტურულ ფენებში, სწორედ რომაული პერიოდის მასალები დომინირებს. სწორედ მასზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება.

თავი III. რომაული ხანის სამარხები. განხილულია აფსაროსის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში კაპანდიბში, მახოსა და ზანაქიძეებში აღმოჩენილი უახლესი რომაული ხანის მასალები.

თავი IV. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რომაულ ხანაში (უახლესი აღმოჩენების მიხედვით). საუბარია ადგილობრივ და რომაულ სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებზე. რომლის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომაული ხანის ძეგლებზე ნუმიზმატიკურ მასალებს, კერამიკულ ტარას, წითელლაკიან კერამიკას, ჭრაქებს, მინის ჭურჭელს, ლუთერიებსა და სხვა.

დასკვნით ნაწილში მოკლედაა შეჯერებული ცალკეულ თავებში განხილული საკითხები და მოცემულია ჩვენეული ინტერპრეტაციები.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში. რომაელები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

კოლხეთის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო ძვ.წ. II ს ბოლოდან, როცა მან დაკარგა დამოუკიდებლობა და ანექსირებულ იქნა პონტოს სამეფოს მიერ. ეს აქცია ძვ. წ. 111-110 წწ. მოხდა. მართალია, ამ ამბებზე ჩვენ კონკრეტული და დაწვრილებითი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ აშკარაა, რომ ამ დროიდან კოლხეთი მოექცა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში და ძვ. წ. 65 წლამდე მის სატრაპიას წარმოადგენდა [Лордкипанидзе, Г. А. 1979: 17-24; Ломоури Н. Ю. 1979:76,175-176].

აჭარის ტერიტორია, როგორც კოლხეთის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, პონტოს სამეფოს ხელქვეით მხარედ იქცა. ეს გასაგებიცაა: მეზობელი ტრაპეზუნტის ოლქიც მითრიდატე VI მიერ იქნა დამორჩილებული და პონტოს შემადგენლობაში შეყვანილი [Ломоури Н. Ю. 1979:75-76].

ძვ. წ. I საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან პონტოს სამეფოს ბრძოლა რომთან გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჯერ ლუციუს ლუკულუსმა დაამარცხა პონტოს მეფე მითრიდატე VI, ხოლო ძვ. წ. 65 წელს მეორე რომაელმა მხედართმთავარმა გნეიუს პომპეუსმა არა მარტო გაანადგურა პონტოს სამეფოს სამხედრო ძალები, არამედ აიძულა მითრიდატე VI გაქცეულიყო და კოლხეთისთვის შეეფარებინა თავი. ამის შემდეგ მან მორჩილებაში მოიყვანა მითრიდატე VI მოკავშირე დიდი არმენიის მეფე ტიგრან II, ხოლო 65 წ. გაზაფხულზე იბერიაში (ქართლში) შეიჭრა [Ломоури Н. Ю. 1981:99-112].

ქართლის მეფე არტაგი ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ დამორჩილდა პომპეუსს და თავი ,,რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ'' ე.ი. არსებითად ვასალად აღიარა. აქედან პომპეუსი რიკოთის (სურამის) უღელტეხილით კოლხეთში გადავიდა. ამ დროისთვის მითრიდატე VI დატოვა თავისი ადგილსამყოფელი დიოსკურია და ბოსფორში გადავიდა. პომპეუსმა კი, რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით, გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ,,ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით''. ასე, ფაქტიურად სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე, გაიარა მან რიონის ველი და ქ. ფაზისამდე მივიდა, სადაც მას დახვდა

რომაული ფლოტი პუბლიუს სერვილიუსის მეთაურობით; მითრიდატეს შემდგომი დევნა პომპეუსმა მიზანშეუწონლად ჩათვალა. კოლხეთის გამგებლად ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი, პრორომაულად განწყობილი არისტარქე დატოვა და გაილაშქრა ამ დროისთვის რომის წინააღმდეგ აჯანყებულ ალბანელებზე. მათი დამარცხების შემდეგ იგი სირიაში წავიდა და ძვ. წ. 62 წლამდე წინა აზიის პოლიტიკური რუკის თავისებურ შეცვლას ახდენდა.

მითრიდატე VI ამ დროს ბოსფორში რომაელებთან ახალი ომის გეგმებს აწყობდა, მაგრამ მათ განხორციელება აღარ ეწერა: მის წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდნენ მისივე კარისკაცები მისი ვაჟის ფარნაკეს მეთაურობით. უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილმა მითრიდატემ ძვ. წ. 63 წელს თავი მოიკლა. პომპეუსმა სირიაში მიიღო ცნობა რომის დაუძინებელი მტრის სიკვდილის შესახებ და დაუყოვნებლივ პონტოში მოვიდა, სადაც შეხვდა ფარნაკეს ელჩებს , რომელთაც მიართვეს ერთგულების ფიცის შემცველი წერილი, საჩუქრები და მითრიდატე VI ნეშტი. ფარნაკე პომპეუსმა ბოსფორის მეფედ და ,,რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ'' ცნო, ხოლო პონტოს სამეფოს ძირითადი ოლქები მის მიერვე დანიშნულ დინასტიებს დაუნაწილა [Ломоури Н. Ю. 1981:109-112].

ასე დასრულდა მითრიდატესთან მესამე ომი, წინა აზიასა და ამიერკავკასიაში რომის დამკვიდრების პირველი და გადამწყვეტი ეტაპი.

მიუხედავად იმისა, რომ რომაული წყაროები ზემოაღნიშნულ მოვლენებს საკმაოდ სრულად აშუქებენ, მათში საქართველოს ცალკეულ კუთხეთა მონაწილეობა ასახული არ არის და კონკრეტულად თუ როგორი იყო ისტორიული აჭარის პოზიცია პონტო-რომის ომების და რომაელთა მიერ კოლხეთისა და იბერიის დალაშქვრის დროს ჩვენ არ ვიცით.

ერთადერთი რამ, რაც შეიძლება დავადასტუროთ, არის ის, რომ კოლხეთში გაქცეულ მითრიდატეს უდაოდ აჭარის ტერიტორიაზე უნდა გაევლო: პომპეუსისგან ძლეულმა მითრიდატემ თავის ლაშქრის მცირე ნარჩენებით ჯერ სიმაგრე სინორეგასკენ, ანუ იგივე სინორიისაკენ დაიხია, რომელიც მდ. ევფრატის სათავეების ახლოს მდ. ყარა-სუზე მდებარეობდა. აქედან იგი ევფრატის სათავისკენ გაემართა, აქ მდინარე გადალახა შემდეგ კი ხოტენში იბერებს შეეტაკა და უკუაგდო ისინი,

გადალახა მდინარე აფსაროსი (ჭოროხი) და კოლხეთში შევიდა. მართალია, ბევრი მკვლევარი ხოტენეს სტრაბონისეულ ხორძენესთან ანუ კლარჯეთთან აიგივებს მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მთავარია, რომ ჭოროხზე გადასულ მითრიდატეს უდაოდ აჭარის ტერიტორია უნდა გაევლო და შიდა, შემდეგ კი ჩრდილო კოლხეთში შესულიყო. სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი ვიცით, მტრულად თუ მოყვრულად გაიარა პონტოს მეფემ კოლხეთის ეს ოლქი.

პომპეუსის იბერია-კოლხეთში ლაშქრობის შემდეგ, როგორც ითქვა, დასავლეთი საქართველო (კოლხეთი) სამმართველოდ გადაეცა ვინმე არისტარქეს. როგორც ჩანს, იგი ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი, შესაძლოა ერთ-ერთი სკეპტუხთაგანი იყო, რომელმაც, საფიქრებელია, კონფლიქტის დროს პომპეუსის მხარე დაიჭირა [ლორთქიფანიძე გ, 1965:129].

როგორი იყო არისტარქეს რეალური ხელისუფლება, რა ძალებს ეყრდნობოდა იგი ჩვენთვის უცნობია. კოლხეთში რომაული სამხედრო კონტინგენტის ყოფნა ამ დროს სავარაუდო არაა. ცნობილია, რომ რომაელები მათ მიერ დაქვემდებარებულ ქვეყნებში ეყრდნობოდნენ აქ მანამდე არსებულ მმართველებს, არაფერს ცვლიდნენ ადგილობრივ კანონებსა და სახელმწიფოებრივ მმართველობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე ვითარება იყო კოლხეთშიც, მაგრამ უდავოა, რომ არისტარქეს ძალაუფლება მაინც რომის მხარდაჭერას ეყრდნობოდა და მისი ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი რომის მიერ ნაკურთხი გამგებელი იყო. ის გარემოება, რომ არისტარქეს მიერ მოჭრილ მონეტების ჩვენამდე მოღწეული 5 ეგზემპლიარიდან ერთ-ერთზე, სავარაუდოა, პომპეუსია გამოსახული [Лордкипанидзе Г. А. 1970:40], ადასტურებს არისტარქეს მიერ რომისადმი ვასალური დამოკიდებულების ოფიციალურ აღიარებას.

ჩვენ არ გვაქვს ცნობები არისტარქეს მმართველობის ხანგრძლივობის შესახებ, ვიცით მხოლოდ, რომ ძვ.წ. 53 წელს იგი ჯერ ისევ მართავდა კოლხეთს, რამდენადაც სწორედ ამ წლით (ე.ი. მმართველობის მეთორმეტე წლით) თარიღდება ჩვენამდე მოღწეული ხუთივე მონეტა. ამასთან დაკავშირებით მოსაზრებაც კი გამოითქვა, რომ ამ წლისათვის არისტარქემ გარკვეული გარკვეული დამოუკიდებლობა მოიპოვა რომისგან, რაც საკუთარი მონეტის მოჭრაში გამოიხატა [ლორთქიფანიძე გ, 1965:130].

ძვ. წ. 48 წლამდე კოლხეთისა და არისტარქეს შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ამ წელს კოლხეთი კვლავ პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ასპარეზი გახდა. როგორც ცნობილია ძვ. წ. 60 წელს რომის რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა ე. წ. პირველი ტრიუმვირატი პომპეუსის, იულიუს კეისარისა და მარკუს კრასუსის შემადგენლობით. 53 წელს კრასუსი დაიღუპა პართიელებთან ომში, ხოლო 49-48 წწ. დიდი ხნით ადრე მომწიფებული კონფლიქტი პომპეუსსა და კეისარს შორის მათ აშკარა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, რაც პომპეუსის სრული დამარცხებით და შემდეგ მისი დაღუპვით დამთავრდა (48 წ). პომპეუსის დევნისას იულიუს კეისარი ეგვიპტეში აღმოჩნდა, სადაც ხანმოკლე გართულებების შემდეგ (ე.წ. ,,ალექსანდრიის ომი'') ხელი შეუწყო ეგვიპტეში კლეოპატრას გამეფებას.

ეგვიპტეში (ალექსანდრიაში) ყოფნისას იულიუს კეისარმა მიიღო ცნობა აზიაში მომხდარი ახალი გართულების შესახებ, კერძოდ, ბოსფორის მეფე ფარნაკე მითრიდატეს ძის გამოლაშქრების შესახებ. ისარგებლა რა რომში მიმდინარე პოლიტიკური არეულობით, დაახლოებით 48 წელს ფარნაკემ გადაწყვიტა მამისეული საბრძანებლის დაბრუნება. ისტორიკოს დიონ კასიუსის ცნიბით, ,,რადგან რომაელები საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული, ხოლო შემდეგ ეგვიპტეში დაკავებულნი, ფარნაკემ ადვილად დაიპყრო მთელი კოლხეთი და მთელი არმენია [ლომოური ნ. 1966:69-73].

ჩვენთვის ამ მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში კოლხეთი აღმოჩნდა ჩარეული. როგორც აღვნიშნეთ, ფარნაკმა კოლხეთი დაიკავა. სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი როგორ წარიმართა ეს აქცია. მაგრამ სტრაბონის ერთი ცნობა იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ფარნაკმა იარაღის ძალით ჩაიგდო ხელში კოლხეთი. აღწერდა რა კოლხეთს, მდინარე ფაზისისა და მტკვრის დინებას, სტრაბონი აღნიშნავდა: ,,მოხსენებულ მდინარეებს ზემოთ, მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ წირავენ მსხვერპლად. ოდესღაც (სამლოცველო-სამისნო) მდიდარი იყო, ხოლო ჩვენ დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული. ,,როდესაც ქვეყანა დაუძლურდება, ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა'' - ამბობს ევრიპიდე'' [ყაუხჩიშვილი თ, 1957:123-124].

ეს კონტექსტი აშკარად მიუთითებს ქვეყნის დარბევაზე. პირდაპირი მითითება ლევკოთეას სამლოცველოს გაძარცვაზე მოწმობს, რომ ფარნაკეს მიერ კოლხეთის დაკავებას სულაც არ ჰქონია მშვიდობიანი ხასიათი. იგივე ითქმის მითრიდატე პერგამონელის კოლხეთზე გავლის შესახებაც. ვარაუდობენ, რომ ლევკოთეას სამლოცველო მითრიდატე პერგამონელმა გაძარცვა სახსრების მოპოვებისთვის, მაგრამ საეჭვოა ის ამაზე წასულიყო, კოლხეთში რომ წინააღმდეგობა არ შეხვედროდა.

ამრიგად, ძვ. წ. 48-47 წწ. კოლხეთი მნიშვნელოვანი მოვლენების მოწმე გახდა. ჩვენ ამ მოვლენაზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდით, რადგან ისინი ნაწილობრივ ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე თუ არა, მის უშუალო სიახლოვეს ხდებოდა.

როგორც ვნახეთ, სტრაბონის მიხედვით ლევკოთეას მდიდარი სამლოცველო მოსხების ქვეყანაში მდებარეობდა. ცოტა უფრო ქვემოთ სტრაბონი აღნიშნავდა, რომ ,,მოსხების ქვეყანა რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე-იბერებს და მესამე-არმენიელებს [ყაუხჩიშვილის თ, 1957:125].

ზემოთ აღწერილი მოვლენები ეჭვს არ ტოვებენ, რომ ლევკოთეას ტაძარი მესხეთის იმ ნაწილში მდებარეობდა, რომელიც კოლხეთს ეკუთვნოდა. ლევკოთეაში რეალურად უნდა ვივარაუდოთ რომელიღაც ადგილობრივი ღვთაება, რომელიც ბერძნების „თეთრ ღვთაებას“ უახლოვდებოდა. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ის სწორედ მერმინდელი აჭარის ტერიტორიაზეა სავარაუდო (პროფ. ო. ლორთქიფანიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ლევკოთეას სამლოცველო გაიგივებული უნდა იქნას ვანის ნაქალაქართან (ძვ. სურიუმი), რამდენადაც აქ ჩვენ სატაძრო ქალაქთან გვაქვს საქმე. მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს შეხედულებას ვანის სატაძრო ქალაქად ყოფნის შესახებ. მაგრამ ლევკოთეას სამლოცველოს აქ ძიება გამორიცხულად მიიჩნევენ, რადგან იგი მოსხების ქვეყანაში ვანისგან საკმაოდ დაშორებით ყოფილა. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ერთადერთ ცნობასთან, რომელშიაც ისტორიული აჭარის იმ შორეულ მოვლენებში მონაწილეობაზეა მითითება.

რომში მალე კვლავ შინაგანი არეულობა დაიწყო: ძვ. წ. 44 წწ. იულიუს კეისარის მოკვლის შემდეგ ერთმანეთს ე. წ. კეისარიანელები და რესპუბლიკელები

დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ ხელისუფლება გადავიდა კეისარის მომხრეთა ხელში, რომელთაც შექმნეს მეორე ტრიუმვირატი გაიუს ოქტავიანეს, მარკუს ანტონიუსისა და ლეპიდეს შემადგენლობით. ტრიუმვირებმა გაინაწილეს პროვინციები: აღმოსავლეთი ერგო ანტონიუსს და იგი მაშინვე აზიაში გაემართა. აქ რომის ძალაუფლება საკმაოდ შერყეული იყო და ანტონიუსმა გაატარა სხვადასხვა ღონისძიება რომის გავლენის აღსადგენად. ამ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად შეიცვალა აღმოსავლური ოლქების მართვის სისტემა, რომელიც დამკვიდრებული იყო ჯერ პომპეუსის, შემდეგ კი კეისრის მიერ. ანტონიუსმა აღადგინა ან ხელახლა შექმნა რომზე დამოკიდებულ სამეფოთა მთელი რიგი და მათ სათავეში მისთვის სასურველი დინასტიები ჩააყენა. კერძოდ, აღდგენილ იქნა პონტოს სამეფოც, რომლის სათავეში ანტონიუსმა ჯერ ფარნაკის ძე დარიუსი დააყენა, რომელიც შემდეგ კილიკიის მმართველმა პოლემონმა შეცვალა. წყაროები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამ დროს კოლხეთის მდგომარეობა, ვინ მართავდა მითრიდატე პერგამონელის დაღუპვის შემდეგ. მოგვიანებით, სტრაბონის ცნობით, კოლხეთს პოლემონი დაეუფლა. (კონკრეტულად როდის შეუერთდა კოლხეთი პონტოს ახლადშექმნილ სახელმწიფოს-ანტონიუსის თუ უფრო მოგვიანებით ოქტავიანე ავგუსტუსის დროს, გარკვეული არაა და სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა). ამრიგად, კოლხეთი პოლემონის პონტოს (ამ სამეფოს წყაროებსა და ლიტერატურაში ეს სახელი დაუმკვიდრდა.) შემადგენლობაში აღმოჩნდა და ასე რჩებოდა იმპერატორ ნერონის ხანამდე (ახ. წ. 54-68 წწ). მაშასადამე, მართალია კოლხეთი არ იქცა რომის პროვინციად, მაგრამ იგი მთლიანად იყო მოქცეული მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში. ფაქტიურად მასზე იყო სავსებით დამოკიდებული, რაც პოლემონის პონტოს სამეფოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ისტორიული აჭარის ტერიტორიასაც, როგორც კოლხეთის ორგანულ ნაწილს, ასეთივე პოლიტიკური სტატუსი გააჩნდა.

ნერონის იმპერატორობის დროს პოლემონის პონტოს პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. როგორც ცნობილია, ნერონს განზრახული ჰქონდა პართიის წინააღმდეგ ფართო მასშტაბიანი ლაშქრობის მოწყობა, რის გამოც მისთვის აუცილებელი იყო შავიზღვისპირეთში თავისი პოზიციები გაემტკიცებინა. გარკვეული როლი შეასრულა, აგრეთვე, ყირიმში სკვითების აქტივიზაციამ, მათ მიერ აქაური ბერძნული

ქალაქების, ისევე როგორც ოლბიის დაპყრობის საფრთხემ. ნერონმა ჯარი შეიყვანა როგორც ქერსონესში, ისე ყირიმის სხვა პუნქტებში და ბოსფორის სამეფოზე უშუალო პროტექტორატი დაამყარა.

ერთდროულად ახ. წ. 63 წ. გაუქმდა პოლემონის პონტოს სამეფო და მისი ტერიტორია რომის პროვინციად (კაპადოკიად) გამოცხადდა: ახალი პროვინციის სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრად და რომაული ფლოტის მთავარ ბაზად ქ. ტრაპეზუნტი იქცა. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ კოლხეთიც, როგორც პოლემონის პონტოს შემადგენელი ნაწილი, ახლადფორმირებულ რომაულ პროვინციაში შევიდა. როგორც ჩანს, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებსა და სიმაგრეებში ნერონის დროს ჩაყენებული იყო რომაული გარნიზონები. მართალია, ზოგიერთი ვარაუდობს, რომ რომაული ჯარი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ვესპასიანეს დროს იქნა ჩაყენებული, მაგრამ საერთო სიტუაციის გათვალისწინება და ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემი აშკარად მიუთითებს, რომ კოლხეთის ზოგიერთ პუნქტში მაინც, რომაული გარნიზონი სწორედ ნერონის დროიდან უნდა მდგარიყო.

თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რომ ნერონს, პონტოს სამეფოს გაუქმებისა და კოლხეთთან ერთად მისი რომის პროვინციად ქცევის შემდეგ, აქ თავისი ჯარი არ ჩაეყენებინა. სხვა საქმეა, რომ ვესპასიანეს დროს აქ რომაული ჯარის რიცხვი გაიზარდა.

პონტოს სამეფოს კოლხეთთან ერთად რომაულ პროვინციად ქცევამ უდავოდ გაზარდა ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაცია, გადიდდა გადასახადები; როგორც სხვა პროვინციებში, აქაც გაჩნდენ გადასახადის ამკრებნი ე.წ. პუბლიკანები, რომლებიც გადასახადების აკრებას იჯარით იღებდნენ. გაუარესდა ქალაქების მდგომარეობა, რადგან მათ დაკარგეს ის შეღავათები, რომლებიც ანტონიუსმა და ოქტავიანე ავგუსტუსმა მიანიჭეს. ყოველივე ამან გამოიწვია რომის უშუალო ბატონობით უკმაყოფილების ზრდა, რაც მალე პონტოში ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებაში გადაიზარდა.

ნერონის მოკვლის შემდეგ იმპერიაში ერთბაშად იმპერატორობის რამდენიმე მაძიებელი გაჩნდა, რომელთა შორის საბოლოოდ ორი სარდალი-ტიტე ფლავიუს ვესპასიანე და ავლე ვიტელიუსი შემორჩა. სწორედ ამ ბრძოლით სარგებლობს,

პოლემონ II ფლოტის ყოფილი სარდალი, სამეფოს გაუქმებით უკმაყოფილო ანიკეტი და აჯანყებს პონტოში მცხოვრებ ტომებს, ძირითადად ჭანებს. იკავებს ქალაქ ტრაპეზუნტს და მოკლე დროით პონტოს ეუფლება. ეს ახ. წ. 69 წელს მოხდა. ამასობაში ვესპასიანემ ჩამოიშორა ყველა მეტოქე და 70 წელს რომში შევიდა: იმპერიაში ხელისუფლება ფლავიუსების დინასტიის ხელში გადავიდა. ანიკეტის წინააღმდეგ გამოგზავნილმა რომაულმა ჯარმა იგი ადვილად დაამარცხა და აიძულა ერთ-ერთი ჭანური ტომის (სედოხეზების) ბელადს შეკედლებოდა; უკანასკნელმა მალე უღალატა მას და რომაელებს გადასცა [ჯანაშია ს, 1949:189-191].

ანიკეტის აჯანყებას აშკარად გამოხატული ანტირომაული ხასიათი ჰქონდა და როგორც ფიქრობენ, იგი შემოსაზღვრული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთი. როგორი პოზიცია ეკავა ამ მოვლენების მიმართ კოლხეთის მოსახლეობას, ჩვენ კონკრეტულად არ ვიცით, მაგრამ ეს აჯანყება უდავოდ გამოხატავდა საერთოდ პონტოსპირეთის აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის განწყობილებას. ამ აჯანყებამ შეასრულა გარკვეული როლი რომისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის შემდგომ ურთიერთობაში. რომის ხელისუფლებას უნდა დაენახა რამდენად საშიშია შემდგომი ექსპანსია და უნდა წასულიყო რეჟიმის შერბილებაზე. რომის სამხედრო პოტენციალის შესუსტების, დამორჩილებულ ხალხთა და ტომთა აქტივიზაციის, პართიის სამეფოსთან მუდმივი კონკურენციის პირობებში რომს არშეეძლო თავისი გავლენა, თავისი პოზიციები ამიერკავკასიის ქვეყნებში, და კერძოდ კოლხეთში, დარტყმის ქვეშ დაეყენებინა; ანიკეტის აჯანყებამ ცხადყო, რომ ასეთი დარტყმის საშიშროება არსებობდა. საერთო ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რომი იძულებული იყო ეცნო ერთგვარი დამოუკიდებლობა კოლხეთის ეთნოტერიტორიულ ერთეულთა მეთაურებისა (ყოფილი სკეპტუხებისა), რათა შეენარჩუნებინა მათზე მეტ-ნაკლებად რეალური ბატონობა და გავლენა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ. წ. I ს. ბოლოს თუ II ს. დასაწყისში ნახევრადდამოუკიდებელ სამეფოთა თუ სამთავროთა წარმოქმნისა. გარკვეული როლი აქ იბერიის მომძლავრება-აგრესიულობასაც უნდა ეთამაშა. ახ. წ. II ს. 30-იანი წლებისთვის ჩვენ გაგვაჩნია თვითმხილველის მეტად სანდო, პირველხარისხოვანი ცნობები დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ.

ესაა კაპადოკიის პროვინციის რომაელი პროკონსულის ფლავიუს არიანეს ნაწარმოები ,,მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო'' ანუ ,, ექვსინის პონტოს პერიპლუსი'', რომელიც წარმოადგენს არიანეს სამმართველო პროვინციისა და მისი უშუალო მეზობელი მხარეების საინსპექციო დათვალიერების ანგარიშს; ეს მოგზაურობა არიანემ განახორციელა 134 წ. იმპერატორ ადრიანეს მეფობაში (ახ. წ. 117-138 წწ.).

,,პერიპლუსი'' შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროთა პოლიტიკური ვითარების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: ,,შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტეც ამბობს, არიან კოლხები და ტომი, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი; ქსენოფონტე მათ დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ ისინი სანები არიან… გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი; მეფე არ ჰყავს… ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები. მათი მეფე ანქილეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები-ძიდრიტები ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან; ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა მამაშენისგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან, აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი, სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი.

ამრიგად, ფლავიუს არიანეს აღწერილობით, კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული, რომელთა სათავეში საკუთარი მმართველები (არიანეს მიხედვით ბასილევსები ანუ მეფეები) დგანან და ყველა ისინი რომის იმპერატორის დამტკიცებულნი არიან. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში კი ვითარება ასეთია: ტრაპეზუნტის უშუალო მეზობლები კოლხები და ჭანები (სანები) ადმინისტრაციულად კაპადოკიის პონტოს პროვინციაში შედიან. პროვინციის უშუალო მეზობლებია მაკრონებისა და ჰენიოხების გაერთიანებული სამეფო. ის გარემოება, რომ მაკრონებსა და ჰენიოხებს ერთი მეფე (ანქიალე) ჰყავთ, მიუთითებს, რომ ეს ტომები ერთ სამეფოში ყოფილან გაერთიანებული. მაკრონები ბერძნული წყაროებისათვის კარგად ცნობილი მეგრულ-ჭანური ტომია. რაც შეეხება ჰენიოხებს, ამ სახელწოდების ბერძნულ წყაროთა უმეტესობა ათავსებს შავი ზღვის ჩრდილო-

აღმოსავლეთ სანაპიროზე, კოლხეთის ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება ანქიალეს ქვეშევრდომ ჰენიოხებს, მათი გაიგივება ჩრდილოელ ჰენიოხებთან უმართებულო იქნება; აქ უდავოდ იგულისხმება, რომელიღაც ჭანური ტომი, რომლის სახელი გავს ჰენიოხთა ეთნონიმს და როგორც ჩანს ბერძენ-რომაელმა ავტორებმა უფრო ფართოდ ცნობილი ეს სახელწოდება სამხრეთულ ტომზეც გაავრცელეს. ამრიგად, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო ჭანური ტომების პოლიტიკურ გაერთიანებად არის მიჩნეული.

ჩვენთვის ამ სფეროს იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ, როგორც ირკვევა, მას აჭარის უშუალო მეზობელი და ნაწილობრივ თვით აჭარის ტერიტორია ეჭირა. როგორც არიანეს, ისე სხვა წყაროთა ცნობების ანალიზი ცხადყოფს, რომ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ეკავა ჭანეთის ნაწილი ცენტრით დაახლოებით ქ. ათინასთან, ხოლო მისი ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ჭოროხის შესართავის რაიონში გადადიოდა, ისე რომ ციხე-სიმაგრე აფსაროსი მათ ტერიორიაზე მდებარეობდა (ლომოური ნ, 1968:7-10).

მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ძიდრიტთა ტომის ადგილსაცხოვრისი, რომელსაც ეჭირა ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით, თანამედროვე აჭარის ტერიტორია [ლომოური ნ, 1968:10]. ნიშანდობლივია, რომ არიანეს ლაკონური ცნობით, ძიდრიტები ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იმდროინდელი იბერიის (ქართლის) მეფის ფარსმან II ფრიად დამოუკიდებელი და ზოგჯერ რომის მიმართ აგრესიული პოლიტიკა. აშკარაა, რომ ფარსმანს გზა გაუკვლევია შავი ზღვის სანაპიროსკენ, ძიდრიტთა ტომზე თავისი ძალაუფლება გაუვრცელებია და შეჭრილა რომის გავლენის ქვეშ მყოფ სამფლობელოებში. ამრიგად, აჭარის ტერიტორია ამ დროს ორად აღმოჩნდა გაყოფილი: ჭოროხის სამხრეთით მდებარე მხარე გონიო-აფსაროსის ჩათვლით მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს, ხოლო მერმინდელი ბათუმ-ქობულეთის რაიონი ქართლის იურისდიქციაში შედიოდა. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს გვიანდელი ვითარება აისახა ქართულ მატიანეში, რომელიც აჭარას ფარნავაზის საერისთაოთა შორის მოიხსენიებს [ქ.ც. I, 1955:24].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებისთვის მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე ციხე-სიმაგრე აფსაროსში რომაული გარნიზონის დგომაა სავარაუდო. ამას ადასტურებს აფსაროს-გონიოში აღმოჩენილი

არქეოლოგიური მასალაც, რომლის მიხედვით რომაულ ხანაში ინტენსიური საქალაქო ცხოვრება დასტურდება. ვარაუდობენ, რომ იმ დროს აქ იყო რეზიდენცია კოლხეთის ამ ოლქის მმართველი დიდმოხელისა [ლორთქიფანიძე ოთ, მიქელაძე თ, ხახუტაიშვილი დ, 1980: 9-10], მოგვიანებით, როცა კოლხეთი პროვინციად იქცა, აქ რომაული გარნიზონი ჩადგა, ხოლო I საუკუნის მიწურულს თუ II საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც კოლხეთის ტერიტორიაზე რომმა იწყო ცალკეული სამთავროების ჩამოყალიბება, კოლხეთის ეს ყველაზე სამხრეთი ნაწილი, ჭანეთის ჩრდილოეთ ოლქთან ერთად, ანქიალეს სამფლობელოში გააერთიანა.

არიანეს ცნობიდან ირკვევა, რომ მის დროს რომაული სამხედრო ნაწილები დასავლეთ საქართველოს სხვა ზღვისპირა პუნქტებშიც იმყოფებოდნენ: ფაზისში ოთხასი რჩეული მეომარი მდგარა, ხოლო სებასტოპოლის-ცხუმში, ქვეითებთან ერთად, ცხენოსანთა რაზმიც ყოფილა დისლოცირებული (განლაგებული); მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია აფსაროსში მდგომი გარნიზონი, რომელიც არიანეს ცნობით, 5 კოჰორტა (ძველ რომში ქვეითი ჯარის რაზმი, რომელიც შეადგენდა ლეგიონის მეათედ ნაწილს), ე.ი დაახლოებით 3000 ჯარისკაცი ყოფილა. ჯარისკაცების ასეთი რაოდენობა ამ სიმაგრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს; იგი რომაელთა მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი იყო მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს მიწა-წყალზე. აფსაროსის ასეთი სიძლიერე განპირობებული უნდა ყოფილიყო მეზობელ ძიდრიტთა ოლქში იბერიის დამკვიდრებით. ამ ციხის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას, როგორც ჩანს, წარმოადგენდა რომის ვასალური ტერიტორიის დაცვა გაძლიერებული იბერიის შემოტევისგან (ლომოური ნ, 1968:36). გასათვალისწინებელია მეორე მომენტიც, არიანეს ცნობით, რომს გარკვეულ პრობლემას უქმნიდნენ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს სამხრეთით, როგორც ჩანს ძირითადად ჭანეთის მთებში მოსახლე ჭანთა ანუ სანთა ტომები. არიანე წერს: ,,გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს. ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი, მაგრამ, ამის შემდეგ თუ ღვთის ნება იქნება, ან წესიერად გადაიხდის გადასახადს, ან ჩვენ მას გავაძევებთ ქვეყნიდან.“ საფიქრებელია, აფსაროსში მდგომ კოჰორტებს ჭანთა ურჩი ტომების დამორჩილების ფუნქციაც ეკისრებოდათ.

აჭარის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ვნახეთ, II ს. 30-იანი წლებისთვის ქართლის სამეფოს ექვემდებარებოდა, ხოლო სამხრეთი ნაწილი, ჭანეთის ჩრდილოეთ ოლქებთან ერთად, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს შემადგენლობაში შედიდოა. არიანეს დროს ამ სამეფოს სათავეში ედგა ანქიალე; რამდენადაც არიანე არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვისგან მიიღო ხელისუფლება ანქიალემ, როგორც ჩანს, ადრიანე კეისარი კარგად იცნობდა ამ მეფეს, რამდენადაც ის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი და საიმედო დასაყრდენი უნდა ყოფილიყო რომისა ამ რეგიონში. თვით ანქიალე და მისი სამეფო არანაკლებ იყო დაინტერესებული რომის მხარდაჭერით, რამდენადაც მას საშიშროება ელოდა როგორც დამეზობლებული იბერიის, ისე ჭანთა მეკობრული ტომებისა და პართიის მხრიდანაც.

ირკვევა, რომ ახ. წ. II ს. 60-იან წლებშიაც მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო რჩება რომის აქტიურ მოკავშირედ, რეალურად მის ქვეშევრდომად. ამ სამეფოს, ისევე როგორც ზიდრიტთა ოლქის შემდგომი ისტორიისთვის ჩვენ ცნობები არ გაგვაჩნია. უნდა ვივარაუდოდ, რომ სანამ მახლობელ აღმოსავლეთში არ მოხდა კარდინალური ცვლილებები, ზიდრიტები რჩებოდნენ ქართლის ქვეშევრდომებად, ხოლო სამხრეთ აჭარის და მასთან ერთად მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს სტატუსიც უცვლელი იყო.

ახ. წ. II საუკუის დასაწყისისთვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულთაგან ცენტრალური ადგილი ლაზების სამეფოს ეჭირა. ლაზებს, ანუ ქართული წყაროებით ეგრებს, ეჭირათ მდ. რიონ-ფაზისის ორივე სანაპირო აჭარა-ქობულეთის საზღვრიდან, ვიდრე მდ. ერისწყლამდე ანუ თანამედროვე ღალიძგამდე, სამხრეთიდან მათ ესაზღვრებოდნენ ე.წ. ძიდრიტები რომლებიც ქართლის სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო ჩრდილოეთიდან-აფსილები.

შემდგომ ორ საუკუნეში ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფომ თანდათანობით შესძლო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. ის რომ სწორედ ეგრისის სამეფომ მოახერხა დანარჩენ პოლიტიკურ ერთეულთა შორის დაწინაურება და მათი დაქვემდებარება, სავსებით კანონზომიერი იყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ სამეფოს მეურნეობრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. ძველი კოლხეთის ცენტრალურ და ყველაზე ნაყოფიერ ნაწილში განლაგებული ეგრისი დასავლეთ საქართველოს

წამყვან რეგიონს წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ მის შემადგენლობაში შედიოდა მოხირისის მხარე, რომელიც ბიზანტიელი მწერლების ცნობით, ყველაზე საუკეთესო და ნაყოფიერი ოლქი იყო მთელ ლაზიკაში, ე.ი. იმდროინდელ მთელ დასავლეთ საქართველოში. მოხირისის მხარე მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას-დღევანდელი ქუთაისის, ბაღდადის, ვანის, სამტრედიის, აბაშის და მარტვილის რაიონებს. ამ მხარის ეკონომიკური ძლიერების მაჩვენებელია, თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს უძველესი და მდიდარი ქალაქები- ქუთაისი, ვანი, მოხირისი, ვარდციხე; შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მხარეს ძველქართულად სამოქალაქო ეწოდებოდა. საკმაოდ ნაყოფიერი იყო ის ოლქიც, რომელიც მოხირისს დასავლეთიდან ემიჯნებოდა (სენაკისა და ხობის რაიონები) და სადაც ეგრისის სამეფოს დედაქალაქი არქეოპოლისი და მნიშვნელოვანი სიმაგრეები ნესოსი და ონოგურისი მდებარეობდნენ.

ლაზიკა-ეგრისზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სამდინარო და სახმელეთო გზები, რომლებიც ზღვისპირეთს შიდა რაიონებთან, რაჭა-ლეჩხუმთან, ქართლთან და სომხეთთან აკავშირებდა. (ლომოური ნ, 1958). ყოველივე ეს ეგრისს დასავლეთ საქართველოს წამყვან ოლქად აქცევდა და აპირობებდა იმ ვითარებას, რომ სწორედ ის გამოვიდა დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლის როლში.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ლაზიკის მეთაურობით ერთბაშად არ მომხდარა. ამ აქტს წინ უსწრებდა ცალკეულ სამეფოთა შორის მწვავე ბრძოლა, რაც ჯერ კიდევ II საუკუნეში უნდა დაწყებულიყო. ვარაუდობენ, რომ ამ ბრძოლის პროცესში ლაზიკასა და რომს შორის ურთიერთობაც გართულდა. II საუკუნის მიწურულს რომში დასრულდა ანტონინების დინასტია და დაიწყო მორიგი ბრძოლა ტახტის მოცილეთა შორის; ამ ბრძოლაში პართია და ადიაბენაც ჩაერთნენ. მოქიშპეთა პაექრობაში დუნაისპირა ლეგიონების სარდალმა სეპტიმიუს სევერუსმა გაიმარჯვა; მანვე დაამარცხა მესოპოტამიაში შემოჭრილი პართიის მეფე ვოლოგეზი და აიძულა იგი ზავი ეთხოვა.

ამ მოვლენების შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი სინგელოსი (VIII ს) აღნიშნავდა, რომ სევერუსმა, გარდა ალბანელებისა და არაბებისა, ,,დაიმორჩილა აგრეთვე კოლხეთი ანუ ლაზიკა. სავარაუდოა, რომ ლაზებმა ისარგებლეს რომში

მომხდარი არეულობით, განუდგნენ მას და სცადეს დამოუკიდებლობის მოპოვება. [Меликишвили Г. А 1954:382].

ზოგიერთი მონაცემის ანალიზი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ უკვე II საუკუნის ბოლოს თუ III საუკუნის დასაწყისში ლაზების სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი ერისწყალ-ღალიძგადან მდ. კოდორამდე გადაიწია. ამდენად, გაძლიერების გზაზე შემდგარი ლაზთა სამეფო პირველ რიგში თავის ჩრდილოელ მეზობლებს, კერძოდ აბსილებს ავიწროვებდა.

ლაზთა სამეფოს გაძლიერებაზე მიუთითებს, აგრეთვე, ის წინააღმდეგობა, რომელიც მან გაუწია გუთების შემოსევებს. ცნობები ამის შესახებ გვიანდელ წყაროებში-ისტორიკოს ზოსიმესთან (V-VI სს.) და კონსტანტინე პორფიროგენეტთან (X ს) არის შემონახული. გუთთა შემოსევებს ადგილი ჰქონდა ორჯერ-III ს. 70-იან წლებში და იმავე საუკუნის მიწურულს. გუთებმა პირველ შემთხვევაში დაარბიეს ქალაქი ტრაპეზუნტი და ბიჭვინტა, ხოლო ფაზისი ვერ აიღეს. მეორე შემოსევისას კი ისინი ლაზეთში დამკვიდრებულან და ,, აქაურ მცხოვრებლებს'' ეომებოდნენ. ის გარემოება, რომ აქ ამ დროს არ ჩანს რომაული ჯარი შესაძლოა იმის მოწმობა იყოს, რომ აღნიშნული პერიოდისთვის რომაელთა გარნიზონები ლაზიკაში აღარ მდგარა, თუმცა, ფორმალურად ეს ქვეყანა კვლავინდებურად რომის გავლენის სფეროში ითვლებოდა [ლომოური ნ, 1968:40-45].

დასავლეთ საქართველო ამ დროს წინარე პერიოდთან შედარებით გარკვეულ სამეურნეო პროგრესს განიცდის, რაც, პირველ რიგში, სამოქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის, კერძოდ, საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლებაში გამოიხატა. დადასტურდა, რომ დასავლეთ საქართველოს, უპირველესად ზღვისპირა ქალაქურ ცენტრებს, გარე სამყაროსთან საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ, რომელშიაც მთელი ლაზიკაც არის ჩაბმული. ეს სავაჭრო ურთიერთობა ძირითადად მცირე აზიის პროვინციებთან, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს საქალაქო ცენტრებთან ჰქონდა [ლომოური ნ, 1968:45-64. იქვე ლიტერატურა].

ცხადია, იბერიასა (ქართლსა) და ლაზეთს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირები უფრო ძლიერი იყო ლაზეთის აღმოსავლეთით, იბერიის მომიჯნავე ოლქში. თუმცა, როგორც ჩანს, იბერიის გავლენა უფრო ღრმადაც იჭრებოდა, რასაც

მოწმობს არქეოლოგიური მასალები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა და ნიშანდობლივი ის ერთიანობა რასაც ამჟღავნებს ქართლის მატერიალურ კულტურასთან ე.წ. გონიოს განძი [ლორთქიფანიძე ოთ, მიქელაძე თ, ხახუტაიშვილი დ, 1980:26-27].

უკვე II საუკუნის მეორე ნახევრიდან რომის იმპერიაში სულ უფრო აშკარად მჟღავნდება საერთო სოციალურ პოლიტიკური კრიზისი. იმპერიამ დაიწყო რღვევა. ცალკეული მხარეები ან პროვინციები დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან და ცენტრალური ხელისუფლება ზოგჯერ იძულებული ხდებოდა ეცნო გამდგარი ოლქების მმართველთა თვითმმართველობა; იმპერიაში იზრდება მონათა, კოლონთა და პროვინციათა მოსახლეობის აჯანყებები, რასაც ემატება საგარეო გართულებები.

ქართულ სახელმწიფოებს თითქოს ხელსაყრელი პირობები შეექმნათ რომთან ურთიერთობაში: იბერიას უფრო თავისუფლად შეეძლო ემოქმედა, ხოლო დასავლეთ საქართველოს სამეფოებს მეტი დამოუკიდებლობისათვის მიეღწიათ. მაგრამ სწორედ ამ დროს აღმოსავლეთში, ირანში, კარდინალური ცვლილებები მოხდა, რომელთაც გაართულეს ქართულ სახელმწიფოთა მდგომარეობა: III ს. 20-იან წლებში დასუსტებული, დეცენტრალიზებული არშაკიდული პართიის ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი დინასტიის მიერ გაერთიანბული და განმტკიცებული სახელმწიფო-სასანური ირანი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პართიის სამეფოსგან. მართალია, საგარეო პოლიტიკაში იგი მნიშვნელოვანწილად აგრძელებდა პართული ირანის ხაზს, ოღონდ უფრო თანმიმდევრულად, ენერგიულად და უფრო აგრესიულად.

ახალი ირანის ძირითად მეტოქეს ისევ რომი წარმოადგენდა. პირველი შეტაკებები მათ შორის უკვე პირველი სასანიდი მეფის არდაშირ I დროს მოხდა, მაგრამ განსაკუთრებით ენერგიულად და შედეგიანად რომის იმპერიას არდაშირის ვაჟი და მემკვიდრე შაფურ I (241-272 წწ.) ებრძოდა, რომელმაც რამდენიმე სერიოზული მარცხი მიაყენა მეტოქეს. მიუხედავად ზოგიერთი ლოკალური წარუმატებლობისა, შაფურმა შეძლო თავისი ძალაუფლება დაემყარებინა მესოპოტამიასა და სომხეთში.

ცნობილია, რომ 298 წელს რომსა და ირანს შორის დადებული ნისიბინის საზავო ხელშეკრულებით ირანმა კარგა ხნით დაკარგა ძალაუფლება სომხეთსა და

მესოპოტამიაში. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ირანს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე რაიმე გავლენა შეენარჩუნებინა. ამრიგად III ს. 80-90-იან წლებში რომს მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო, იგივე მახელონია, უკან უნდა დაებრუნებინა [ლომოური ნ, 1975:14, 36-37]. მაშასადამე, აჭარის სამხრეთი ოლქი, მის მეზობელ ჩრდილოეთ ჭანეთთან ერთად, მოკლე დროით (ახ. წ. 262 წ.) სასანური ირანის ქვეშევრდომობაში უნდა მოხვედრილიყო.

რაც შეეხება იბერიის ქვეშევრდომობაში მყოფ ზიდრიტებს, ისინი შემდეგდროინდელ წყაროებში აღარ იხსენიებიან, ხოლო რომაელთა სამფლობელოს უშულოდ ემეზობლება ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს ტერიტორია. საქმე იმაშია, რომ შაფურ I დროს იბერია, რომლის ქვეშევრდომიც, ფლავიუს არიანეს მიხედვით, იყო ზიდრიტთა ტომი, საკმაოდ რთულ ვითარებაში მოექცა და მასაც, გარკვეული ხნით, ირანის ქვეშევრდომობა თუ არა, მასზე გარკვეული დამოკიდებულება უნდა ეცნო (ლომოური ნ, 1975:35). როდესაც რომმა მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორია კვლავ დაიბრუნა, მას ზიდრიტთა ტომის მიწა-წყალიც თავისი ხელქვეითი უნდა გაეხადა. იგი როგორც ჩანს, რომის მოკავშირე ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ამ დროს ლაზეთის სამეფოს საზღვარი ჩრთილოეთიდან უკვე ჭანეთის მთებს ებჯინებოდა. ამიანე მარცელინეს ამ ცნობას ავსებს და აკონკრეტებს მერმინდელი ბიზანტიელი ავტორების ცნობები, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ლაზეთის სამეფო ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე აღწევდა [ლომოური ნ, 1975:67].

ვარაუდობდნენ, რომ ლაზეთსა და რომის ხელქვეით ტერიტორიებს შორის საზღვარი გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა: ჭანეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი გათავისუფლდა რომაელთა ბატონობიგან და ლაზეთს დაემორჩილა. ამის მანიშნებელია პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ ჭანებს მღვდელმთავრებს ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენო. შემდგომ ხანებში, ლაზეთის სამეფოს ერთგვარი დასუსტების შედეგად (V ს-ის მეორე ნახევარი), ჭანეთის მოსახლეობა კვლავ გათავისუფლებულა ლაზების მეურვეობისგან. ეს მხარე გარკვეული დროით, აღარც ლაზეთს ემორჩილებოდა და აღარც რომს.

ამრიგად მთავარ საყრდენს ისევ ამიანე მარცელინეს ცნობა წარმოადგენს- ლაზიკასა და რომის სამფლობელოთა უშუალო მეზობლობა და ჭანეთის მხარის ლაზიკისადმი დაქვემდებარება არც IV საუკუნეში და არც შემდგომ სავარაუდო არაა. რაც შეეხება ჭანეთის ზღვისპირა ზოლს და აქაურ პუნქტებს (მაგალითად რიზეს, ათინას), ისინი კვლავ რომის გამგებლობაში იმყოფებოდნენ. სავარაუდოა, რომ რომი არც აფსაროსის ციხესიმაგრეს შეელეოდა და იგი კვლავ კაპადოკიის რომაული პროვინციის იურისდიქციაში რჩებოდა, ასე იყო ადრეც და ასეა ბიზანტიური წყაროებითაც (V ს. ანონიმი, პროკოპი კესარიელი, აგათია). ამდენად, არა გვაქვს საფუძველი რომელიმე პერიოდში სანაპიროს ეს მონაკვეთი ეგრის-ლაზეთს მივაკუთვნოთ. მაშასადამე, აჭარის სამხრეთი ზონა კვლავ რომის უშუალო გამგებლობაში იყო, ხოლო ბათუმ-ქობულეთის მხარე ეგრისის სამეფოში შედიოდა.

ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო IV საუკუნეში ჩრდილოეთ კოლხეთსაც იქვემდებარებს: 389-395 წლებს შორის ლაზთა მეფეები იმორჩილებენ მაღალმთიან სვანეთსაც. ლაზიკის სამეფოს ტერიტორია აღმოსავლეთის მიმართულებითაც გაფართოვდა. ქართლთან საზღვარი გადიოდა ციხე-ქალაქ შორაპანსა და სკანდაზე.

ამრიგად, IV საუკუნის მიწურულისათვის დასრულდა ეგრისის სამეფოს მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. მისი ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროზე გაგრა-ბიჭვინტის რაიონიდან მდ. ჭოროხზე თუ უფრო სამხრეთით, ძნელი სათქმელია. ზოგადად ლაზიკის სამხრეთი საზღვარი ჭოროხის შესართავის სექტორზე ან ცოტა უფრო სამხრეთით უნდა ვივარაუდოთ.

მართალია, აფსაროსის ციხე III-IV სს-ში თითქოს ლაზიკის ფარგლებს გარეთ, ჯერ მახელონიის, შემდეგ კი კაპადოკიის პროვინციის შემადგენლობაში ჩანს, მაგრამ რამდენადაც ის ისტორიული აჭარის მიწა-წყალს განეკუთვნება, ფართოდ მის შესახებ ვისაუბრებთ.

თავი II. აჭარის რომაული ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

გონიო-აფსაროსი

გონიო-აფსაროსი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჭოროხის დელტის მარცხენა სანაპიროზე, ქ. ბათუმიდან 12 კმ-ის მოშორებით. ციხე სიმაგრე ზღვასთან ახლოს, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილასაა აგებული. სწორედ აქ გადიოდა ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისაკენ მიმავალი გზა. ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობით კი მესხებით დასახლებულ რეგიონთან, მცირე არმენიასთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან შეიძლებოდა დაკავშირება.

გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე გეგმით სწორკუთხედია. მისი სიგრძე 222 მეტრია, სიგანე -195 მეტრი. მთელი ფართობი 4,75 ჰექტარს შეადგენს. ციხის კედლის საერთო სიგრძე პერიმეტრზე-900 მეტრია, კედლების სიმაღლე-5 მეტრი, ხოლო კუთხეებთან, სადაც კოშკებია აღმართული-7 მეტრი. საძირკვლის სიღრმე 3,5 მეტრს აღემატება. კედლების ქვემო ნაწილი დიდი ზომის თლილი კვადრებით არის მოპირკეთებული, შიდა მხარეს დასავლეთ კედელს სიმეტრიულად განლაგებული კონტრფორსებიც მიუყვება. ხოლო ზედა ნაწილზე მოჩანს წვრილი ქვებით ნაგები ოსმალური პერიოდის ქონგურები. ამჟამად ციხე მოითვლის, 18 კოშკს, მაგრამ თავდაპირველად 22 კოშკი ჰქონია. გალავნის კუთხეებთან დგას ოთხი მთავარი კოშკი, რომლებსაც ციხის შიგნით გააჩნია ქვის კიბე. ციხე-სიმაგრეს ადრე 4 შემოსასვლელი ჰქონია. დღესდღეობით დასავლეთ კარიბჭის გარდა, ყველა ამოქოლილია. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ციხის მთავარ შემოსასვლელში მთლიანად დაცული ყოფილა მოჩუქურთმებული კარები, რომელიც პროფესორ ა. კრასნოვის გადმოცემით უცხოელ არქეოლოგებს წაუღიათ. ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული შემოსასვლელები მიანიშნებდნენ რომაული კასტელუმებისათვის დამახასიათებელ ორი ურთიერთგადამკვეთი ქუჩის (კარდო, დეკულანუმი) არსებობაზე. ციხე-სიმაგრის ფასადი, რომელიც განისაზღვრებოდა მთავარი ქუჩისა და კოშკების განლაგების მიხედვით, დასავლეთისაკენ (ე.ი. ზღვისკენ) არის მიმართული. ზღვა წარმოადგენდა ზურგსაც, ვინაიდან გასაგები მიზეზების გამო, საშიშროების შემთხვევაში სწორედ აქეთკენ იყო ყველაზე უხიფათო მომარაგებისა და უკანდასახევი გზა. ევლია ჩელების მიხედვით ვიცით, რომ ადრე ზღვა ციხის კედლებს ეხეთქებოდა. აღმოსავლეთით ციხეს მთები იცავდნენ, ჩრდილოეთიდან-მდინარე, მხოლოდ სამხრეთიდან იყო ის შედარებით დაუცველი და ამიტომაც აქ ყველაზე მეტად გამაგრებულია ციხის კედლები.

გონიო-აფსაროსი განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, სადაც აღმოცენდა ბრწყინვალე თვითმყოფადი კოლხური ბრინჯაოს კულტურა და დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ეს კუთხე უაღრესად მდიდარია ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი პოლიმეტალური საბადოებით. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ რეგიონი უძველესი ეპოქებიდან წარმოადგენდა აზიური და ევროპული ცივილიზაციების შეხვედრა-შეხების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს. აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ამდროინდელი ბრინჯაოს მრავალი ნახელავი და განძი.

ასურული (თუქულთი-ნინურთა II -1248-1209 წწ; ტიგლათფილესერ I- 1115-1077 წწ; სალმანასარ III- 859-824 წწ.) და ურარტული (მენუა 810-786 წწ; არგიშთი I -786-765 წწ; სარდურ II-765-735 წწ.) წყაროების მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანაშივე ჭოროხის აუზში არსებობდა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები: დაიაენი (დიაუხა ძვ. წ XIII-IX სს.) და კულხა (ძვ. წ XII-VIII სს.) ანტიკური ტრადიციებისა და არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება აფსაროსის, როგორც დასახლებული პუნქტის წარმოქმნა. სტეფანე ბიზანტიელის, არტემიდორე ეფესელის, არიანეს, პროკოპი კესარიელის ცნობების მიხედვით აფსაროსის წარმოშობა უკავშირდება არგონავტების აია-კოლხეთში ლაშქრობას, თქმულების თანახმად, როცა იაზონის რაზმმა მედეას დახმარებით ოქროს საწმისის არესის წმინდა ჭალიდან გატაცება მოახერხა და მედეასთან ერთად გემ ,,არგოთი“ გეზი ელადისაკენ აიღო, მეფე აიეტმა მზის ღვთაება ჰელიოსის ძემ, მათ საკუთარი ფლოტი დაადევნა, რომელსაც ტახტის მემკვიდრე აფსირტე სარდლობდა. კოლხები ,,არგოს'' მდ. აფსაროსის შესართავთან წამოეწივნენ, მედეას რჩევით იაზონმა აფსირტე გემზე მიიპატიჟა, სიცოცხლეს გამოასალმა და ნაწილ-ნაწილ აკეპა. არგონავტებმა იალქნები აწიეს და აფსირტეს გვამის ნაწილებს მდევართა შეყოვნების მიზნით ზღვაში თანდათანობით ყრიდნენ. ძველი ავტორების მიხედვით, კოლხებმა აფსირტეს სხეულის ნაწილები შეკრიბეს, ხმელეთზე გადაიტანეს და დაასაფლავეს, სადაც ახლა გონიოს ციხე დგას. არიანე აღნიშნავდა: ,,ამბობენ, რომ ადგილი აფსაროსი ოდესღაც აფსირტედ იწოდებოდა, იმის გამო, რომ თითქოს აქ მედეას ხელით დაიღუპა აფსირტე (აფსირტეს საფლავსაც უჩვენებდნენ), ხოლო შემდეგ კი სახელი მეზობელმა ბარბაროსებმა დაამახინჯეს''. პროკოპი კესარიელი აფსირტეს

საფლავს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ათავსებდა. აფსაროსის სახელის წარმოშობის მითოლოგიური ახსნისგან განსხვავებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში აფსაროსის ეტიმოლოგია წყლით მდიდარ უბანს, ჭაობიან ადგილს უკავშირდება, თუმცა, გამორიცხული არაა, რომ აიეტის ვაჟის სახელი აფსირტე რაღაცნაირად წყალთან იყოს დაკავშირებული, ისევე როგორც ჰელიოსის ვაჟის ფაზისის სახელი უკავშირდება მდინარე რიონს.

ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დამდეგიდან, თუ უფრო ადრე არა, გონიოს მიდამოებში შავი მეტალურგიის მსხვილი სამთო-მეტალურგიული კერა (ავგია, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო, კვარიათი) ფუნქციონირებდა. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ე.წ. დიუნური დასახლების ნაშთები, რომლებიც ძვ. წ VIII-VII სს. თარიღდება. ფიქრობენ, რომ ზღვისპირა ზოლში ხდებოდა რკინის მეტალურგიისათვის აუცილებელი მაგნეტიტური ქვიშის მოპოვება. აქვე იყო გამართული საერთო სატომო სამლოცველოებიც.

ცხოვრება კლასიკურ ხანაშიც გრძელდებოდა. ჩვენს ხელთაა ამ ეპოქის არქეოლოგიური მასალა. თანამედროვე სასაფლაოების ტერიტორიაზე ძვ. წ. V საუკუნის ორი სამარხიც გაითხარა. მათში სხვადასხვა ფორმის დოქებთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის სხივანა საყურე, ბრინჯაოს სამაჯურები, გიშრის, ქარვის, მინისებრი პასტის მძივები და ა.შ.

წერილობითი წყაროები, ამ დროის აფსაროსზე მცირეა, ერთადერთი რაც შეიძლება აღინიშნოს, არის ძვ. წ. IV ს-ის ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობა, რომელიც ასახელებს მდინარე აფსაროსს. ძვ. წ. IV ს. დასასრულსა და ძვ. წ III ს. იწყება აფსაროსის ახალი აღორძინება. ამის დამადასტურებულია ელინისტური ხანის შემთხვევით აღმოჩენილი სამარხები და მათშიმოპოვებული მასალა. ძვ. წ. II ს. უკანასკნელ მეოთხედში მთლიანად კოლხეთს და რათქმაუნდა, აფსაროსსაც პონტოს სამეფო დაეუფლა. ძვ. წ. 65 წელს პონტო რომაელთა სარდალმა პომპეუსმა გაანადგურა და კოლხეთში რომაელები გაბატონდნენ. ძვ. წ. 65-47 წწ-ში კოლხეთი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც არისტარქე მართავდა. ტრაპეზუნტის ოლქი (სამხრეთ კოლხეთი) გალატიის მეფე დეიოტარის სამფლობელოში შედიოდა და აფსაროსიც სადღაც ამ ორი ერთეულის საზღვარზე უნდა ყოფილიყო. ძვ. წ. 49 წ. პომპეუსსა და იულიუს კეისარს შორის ამტყდარი

სამოქალაქო ომით ისარგებლა ბოსფორის მეფე მითრიდატე ევპატორის ვაჟმა ფარნაკემ და პონტოს სამხრეთ სანაპიროების ნაწილი (აფსაროსის ჩათვლით) დაიკავა. (ძვ. წ. 47 წ.). ამავე წელს ზელესთან ბრძოლაში კეისარმა სასტიკად გაანადგურა ფარნაკე და მისი სამფლობელოები რომაელთა მოკავშირეს პერგამის მეფე მითრიდატეს მისცა. არისტარქეს შემდეგ კოლხეთი აღარ წარმოადგენდა მთლიან ერთეულს. თანაც, მთიელ ტომთა მოძალებით აქ მდგომარეობა საკმაოდ გართულდა. სწორედ ამიტომაც ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე იგი რომაელებზე დაქვემდებარებულ პოლემონების პონტოს შემადგენლობაში შედიოდა. სტრაბონის ცნობით, კოლხეთს ,,ისევე როგორც ტრაპეზუნტს, ფარნაკიას და მათ ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებს'' მართავდა პოლემონ I ქვრივი პითოდორიდა. აშკარაა, რომ აფსაროსის დასახლებაც პოლემონების პონტოს საზღვარში მოექცა.

ახალი წელთაღრიცხვა ქრისტიანული რელიგიის აღმოცენებით დაიწყო. ეს პროცესი შეეხო როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ისე კონკრეტულად აფსაროსსაც. ახ. წ. VIII ს. მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინეპოლელმა შემოგვინახა შემდეგი ცნობა: ,,კვიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე ამბობს, გადმოცემის მიხედვით, ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსიანები დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰჯსოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები. . . „აქვე მას მინიშნებული აქვს, რომ პანტეკოსტის (სულიწმინდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სვიმონ კანანელი, მათე და თადეოზი გამოემართნენ ჩრდილოეთის წარმართების მოსაქცევად, მათ შორის ,,ველური“ კოლხებიც იყვნენ. ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თანახმად მოციქული სვიმონ კანანაელი დაკრძალულია ნიკოფსიაში. ეპიფანე კვიპროსელის (ახ.წ. IV ს.) მიხედვით კი საქართველოში მოციქული მატათაცაა დაკრძალული. მატათამ ანუ მატათიამ, რომელიც იუდა ისკარიოტელის ნაცვლად იქნა მოციქულად არჩეული: ,,იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთი), სადაც არის აფსარის ციხე და ჰჯსოს ნავსადგური. იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე“. ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან დოროთეოს ტვირელი (III ს.), სოფრონი (IV ს.) და სხვანი.

ახ. წ. 63 წ. იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) ბრძანებით გაუქმდა პოლემონის სამეფო და პონტო კოლხეთთან ერთად გალატიის პროვინციაში შევიდა.

ახ. წ. 77 წლით დათარიღებულ ნაშრომში გაიუს პლინიუს სეკუნდუსი აღნიშნავდა: ,,ტრაპეზუნტიდან 140000 ნაბიჯით დაშორებულია მდინარე აფსარი, რომლის შესართავთან ამავე სახელის ციხე-სიმაგრეა'' ..ამავე ავტორის მიხედვით აფსაროსი მაკრონების ქვეყანაშია, რომლის ჩრდილოეთითაც ჭოროხის შესართავთან ლაზები ცხოვრობდნენ. აღნიშნული ცნობების მიხედვით, აფსაროსი უკვე ახ. წ. I ს. მეორე ნახევრიდან მოქმედი ციხეა, რაც არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითაც დასტურდება. აქ ნაპოვნია იმპერატორების ტიბერიუსის (14-37 წწ.) ნერონის (54-68 წწ.) დომიციანეს(81-96 წწ.) და სხვათა სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები. ახ. წ. I ს -ში გავრცელებულ იტალიკურ და კოსურ ნაწარმად მიჩნეული ამფორები, წითელლაკიანი კერამიკა, ჭრაქები (სურ. 1,2,3,4), მინის ნაწარმი, იტალიკური ბრინჯაოს, ლათინურ წარწერიანი ჭრაქი (სურ. 5).და ა.შ.

სურ: 1 სურ: 2

სურ: 3 სურ: 4

ახ. წ. 134 წელს იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) დავალებით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმოგზაურა და თავის ,,periplus''-ში იქ არსებული მდგომარეობა აღწერა კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ. არიანე იხსენიებს აფსაროსში

მდგარ ხუთ კოჰორტას. აფსაროსის რომაული გარნიზონის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სხვა წყაროებიც. მაგალითად იტალიაში, ნოლას მახლობლად, აბელაში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით მარკუს პრეტორიუს კელერი, რომელიც ტრაიანემ დააჯილდოვა პართიის ომში (113-117 წწ.) მონაწილეობისათვის, ერთ დროს ასრულებდა რომაელთა იმ სანაპირო ჯარების მეთაურის მოვალეობას, რომლებიც დაბანაკებულნი, იყვნენ აფსარში. მნიშვნელოვანია, აგრეთვე ეგვიპტეში, კერძოდ, ფაიუმში აღმოჩენილი II საუკუნით დათარიღებული პაპირუსის ფრაგმენტი, რომელიც აფსაროსის ვეტერანის მიერაა დაწერილი. აქ მოხსენიებულია აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი. წერილობითი წყაროებისა და აღმოჩენილი წარწერების მიხედვით დასტურდება, რომ აფსაროსში იდგა შემდეგი დასახელების რომაული კოჰორტები: აბელას წარწერაში მოხსენიებული დამხმარე საგუშაგო რაზმები, ე.წ. ,,numer”-ები, იმპერატორ კლავდიუსის სახელობის II დამხმარე კოჰორტა, მოისართა კოჰორტა- ,,sagtiarius” და იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა. არსებული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არიანეს ,,პერიპლუს“-ში დასახელებული აფსაროსში მდგარი ხუთი კოჰორტა დამხმარე კოჰორტებია და არა ლეგიონური. ასე, რომ აფსაროსში დაახლოებით 1200-1500 ლეგიონერი იდგა [მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი 2000:91-94].

სურ: 5

განსაკუთრებით საინტერესოა ახ. წ. IV ს. რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის რუქა, სადაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სხვა თანადროული კასტელუმებისგან განსხვავებით, აფსაროსის ციხის მხოლოდ სახელი კი არაა მითითებული, არამედ

მისი სქემატური გამოსახულებაცაა დატანილი. ცნობილია, რომ კასტორიუსი იყენებდა ძველ, კერძოდ, ახ. წ. I-II სს. წყაროებს.

როგორც ჩანს ახ. წ. II ს. პირველ ნახევარში აფსაროსი არამარტო ძლიერი სამხედრო ბაზა იყო, არამედ მნიშვნელოვანი საქალაქო პუნქტიც. ახ. წ VI ს. ავტორი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა: ,,ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრით და ჰიპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია". ყველა მონაცემების მიხედვით აფსაროსი ასეთ მდგომარეობას სწორედ ახ. წ. II ს. პირველ ნახევარში მიაღწევდა.

ახ. წ. II ს. მეორე ნახევარში პოლიტიკური ვითარება არსებითად არ შეცვლილა. ახ. წ. III ს. აფსაროსის ისტორიაში შემობრუნების ხანად შეიძლება ჩაითვალოს. ამ პერიოდში შეიმჩნევა მისი სამხედრო ბანაკად გადაქცევის ტენდენცია . ახ. წ III ს-ის ავტორი იპოლიტე რომაელი ასახელებს παρεμβολη აფსაროსს. ეს სიტყვა კი ბანაკს, სასაზღვრო პუნქტს აღნიშნავდა. ასევე ბანაკის სახელით მოიხსენიებს აფსაროსს ევსევი კესარიელი (260-340 წწ.). სწორედ ამ ბანაკში გარდაიცვალა ქრისტიანობისთვის წამებული სამხედრო მოხელის ორიენტიოსის ორი თანამოაზრე (ბერძნული სვინაქსარის მიხედვით იმპერატორ დიოკლიტიანესა (284-305 წწ.) და მაქსიმიანეს (285-305 წწ.) დროს). ზემოთ ნახსენები დოროთეოს ტვირელი ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის აღწერისას მიუთითებდა: ,,ანდრია მივიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და მდინარე ფასისი".

ახ. წ. III ს. ბოლოდან რომის იმპერიის ცენტრი თანდათანობით აღმოსავლეთისკენ ინაცვლებს; სავარაუდო იყო, რომ რომაელები განახორციელებდნენ ზომებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავიანთი გავლენის აღსადგენად. ზოსიმე ლაპარაკობს იმპერატორ კონსტანტინეს (306-337 წწ.) მიერ იმპერიის 4 ნაწილად გაყოფაზე. ერთ-ერთ მათგანში შედიოდა მთელი შავიზღვისპირეთი პამფილიიდან ტრაპეზუნტამდე და ფასისზე არსებულ სიმაგრეებამდე. როგორც ჩანს, ამ პერიოდში აფსაროსის ციხე განაგრძობდა რომაელთა სამხედრო ბანაკის მოვალეობის შესრულებას. IV ს-ის მეორე ნახევრიდან აქ აღარ იდგა რომაული გარნიზონი. მაგალითად ამიანე მარცელინი შავი ზღვის სანაპიროს აღწერისას არაფერს ამბობს აფსაროსზე, ხოლო ფაზისსა და დიოსკურიას ქალაქად მოიხსენიებს. აფსაროსს არც V

ს. დასაწყისის ძეგლი ,,Notatia dignititatum”-ი ასახელებს. VI ს. ავტორს პროკოპი კესარიელს ფაზისი და აფსაროსი სრულიად გაპარტახებული დახვდა. აფსაროსის ციხე-სიმაგრე ახ. წ. IV ს. მეორე ნახევრიდან ახ. წ. VI ს. პირველი ნახევრის ჩათვლით უბრალოდ მიტოვებულია.

წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს ეხმაურება არქეოლოგიური მონაცემებიც. აფსაროსში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი წითელლაკიანი ნაწარმის თითქმის არცერთი ეგზემპლიარი არაა შემკული რელიეფური დეკორით. მაშინ როცა, IV ს. და განსაკუთრებით კი V საუკუნის წითელლაკიანი ნაწარმი საკმაოდ უხვადაა ორნამენტირებული რელიეფური, გეომეტრიული თუ მცენარეული მოტივებით. აქ არ გვხვდება ე.წ. ლურჯხალიანი მინის ერთი ფრაგმენტიც კი, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ჩნდება დაახლოებით IV ს-ის მეორე ნახევარში და არსებობს V საუკუნის დასაწყისამდე. აქ მოპოვებულ მდიდარ ნუმიზმატიკურ მასალაში არცერთი მონეტა არ თარიღდება IV ს. მეორე ნახევრთ, V საუკუნითა და VI საუკუნის პირველი მეოთხედით. 1878 წელს გონიო, მთელ აჭარასთან ერთად, ოსმალთა ბატონობისგან გაანთავისუფლეს. სანკტ-პეტერბურგში დაცული საარქივო მასალების მიხედვით დასტურდება, რომ გონიო-აფსაროსი ტროას აღმომჩენის, მიკენისა და ორქომენის შემსწავლელის ჰენრიხ შლიმანის ინტერესთა სფეროში მოქცეულა. იგი საკუთარი სახსრებით კისრულობდა განეხორციელებინა საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი, მაგრამ ადრინდელი კომერციული, გამრუდებული საქმეების გამო შლიმანს საიმპერატორო კარისაგან ამის დასტური ვერ მიუღია. ჩვენი საუკუნის დამდეგისათვის (1904 და 1917) გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისაათვის ე.წ. ,,ღია ფურცელი“ გაუციათ ცნობილი მეცნიერების ნ. მარისა და თ. უსპენკისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვეღარც ეს სამუშაოები განხორციელებულა. მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნის შემდგომ 60-იანი წლებისათვის გახდა შესაძლებელი აქ მცირე მასშტაბის საველე-სადაზვერვო ხასიათის სამუშაოების განხორციელება.

გონიო-აფსაროსის კვლევაში ახალი ეტაპი იწყება 1994 წლიდან, როდესაც შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი. ყოველწლიურად ძეგლზე ფართო მასშტაბიან

გეგმაზომიერ კვლევა-ძიებას ახორციელებს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია.

უახლესი მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ პირველი სამოსახლოები აქ ძვ. წ. VIII-VII სს-ში გაჩენილა. ესენია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის კარგად ცნობილი ე.წ. დიუნური დასახლებები, რომლებიც გაგრა-ბიჭვინთამდე ვრცელდებიან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აქ ცხოვრება კლასიკურ ხანაშიც გრძელდებოდა. მრავლად აღმოჩნდა ამ ეპოქის როგორც ნამოსახლარებთან, ისე სამაროვანთან დაკავშირებული მასალები.

გონიოს ციხის სამხრეთით მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ადრეელინისტური ხანის (ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო და III საუკუნე) სამარხეული ინვენტარი კოლხური ამფორის, დერგისა და შავპრიალა სამკუთხა შევრონებიანი თიხის დოქის სახით. ასევე იმპორტული ნაკეთობანიც-მაკედონიის მეფის ანტიგონა გონატას (ძვ. წ. 277-239 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტა და თანადროული სინოპური კერამიკაც. განსაკუთრებით მდიდრულად გამოიყურება 1974 წელს გონიოს ციხის მახლობლად ფერდობზე, გზის გაყვანისას აღმოჩენილი განძი, რომელშიც წარმოდგენილია ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები: შიშველი ჭაბუკი დიოსკურის ქანდაკება, კანელურებიანი ფიალა, მასიური წახნაგოვანი სამაჯურები, მედალიონი ჰელიოსის გამოსახულებით, ცხოველთა ბრძოლის ამსახველი გარსაკრავი, მხედრის, ფრინველისა და ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებიანი მოთვალული და დაცვარული ბალთები, ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით შემკული მძივსაკიდები, წნული ძეწკვები, კილიტები, ღილაკები, ორნამენტირებული ფირფიტები და ა.შ. გონიოს განძი ახ. წ. I-II საუკუნეებით თარიღდება. როგორც ჩანს, გონიოს მიწა კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს.

გათხრების წარმოების პირველ ეტაპზე გამოვლენილი რომაული ხანის შენობა-ნაგებობებიდან განსსაკუთრებით ყურადღებას იქცევს აბანოების ე.წ. თერმების ნაშთები. ჯერჯერობით მიკვლეულია ორი აბანოს საძირკვლისა და კედლების გარკვეული ნაწილი, ერთი მათგანი პატარა ზომისაა, ჰქონია მარტო საქვაბე და ცხელი განყოფილებები. უფრო მონუმენტურია მეორე აბანო, რომელიც მეციხოვნეებისათვის

უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. აბანოს სამხრეთ ნაწილში განლაგებულია საქვაბე განყოფილება, სადაც სპილენძის ქვაბის ნაკვალევი ახლაცაა შემორჩენილი. საქვაბე განყოფილება წყვილი გვირაბით დაკავშირებულია ცხელ აბანოს სარდაფთან. ჰაერის ცხელი ნაკადი ათბობდა აბანოს იატაკსა და კედლებს, რომლებშიც დატანებული იყო თიხის მილები. აბანოს პირველი განყოფილება ე.წ. კალდარიუმი სიმხურვალეს მაქსიმალურად შეიწოვდა. ცხელი აბანო ორი განყოფილებისგან შედგებოდა. აქვე აღმოჩნდა იატაკის საყრდენი ქვის გათლილი სვეტები, გამოვლინდა ცივი აბანოს ე.წ. ფრიგიდარიუმის კედლის კონტური, აბაზანები. აქვე იყო მოსაცდელი განყოფილება ე.წ. აპოდიტერიუმი. რომაული თერმის ნანგრევებზე ოსმალებს აღმოსავლური სტილის აბანო დაუშენებიათ.

2014-2015 წლებში ციხის ჩრდილო აღმოსავლეთ მონაკვეთში ქართულ-პოლონური ერთობლივი ექსპედიციის მიერ მიკვლეული იქნა რომაული პერიოდის აბანოს კიდევ ერთი ნაშთი. ჯერჯერობით გამოვლენილი იქნა ცივი აუზი (ფრიგიდარიუმი) სანიაღვრე კერამიკულ მილებთან ერთად. მისგან აღმოსავლეთით აღმოჩნდა შენობის იატაკი, რომელიც ჰიდრავლიკური ხსნარისა და კერამიკის ნატეხებითაა დაფარული. სამხრეთით მოზრდილ ფართობზე (7×12 მ) დაფიქსირდა ნაგებობის იატაკის ნაშთი, რომელიც მოზაიკითაა დაფარული. მოზაიკა ზოგიერთ ადგილებში თურქული ორმოებითაა დაზიანებული. ცენტრალურ ღერძულ ნაწილში იგი შემკულია გეომეტრიული სახის ორნამენტული მოტივებით. შედგება პატარა დაჭრილი მოზაიკის კენჭებისაგან, რომელიც ადგილობრივი ფერადი ქვებისგანაა დამზადებული. სხვადასხვა დონეზე დაფიქსირდა ჰიპოკაუსტის სათავსოს, ღუმელის (პრაეფურნიუ), აპოდიტერიუმის ნაშთები. სტრატიგრაფიული დაკვირვება, არქიტექტურული თუ ნივთიერი მასალების ანალიზი, მიუთითებს აქ მშენებლობის ორ ეტაპს. თავდაპირველად არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც რამოდენიმე ოთახისგან შედგებოდა, ვრცელდებოდა უფრო ჩრდილოეთით. მისი რეკონსტრუქციის შემდეგ, შენობა შემცირებული იქნა და თითქმის მიტოვებული იქნა ჩრდილოეთი ნაწილი. ახალი მოზაიკურ იატაკიანი აბანოს გამოჩენა დაკავშირებული იყო შენობის მთლიან რეკონსტრუქციასთან. არქიტექტურული ანსამბლის ადრეული ნაშთები მდებარეობდნენ მოზაიკური იატაკის ქვეშ. ეს რეკონსტრუქცია

დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არა მის შემცირებაზე, არამედ სტანდარტების გაუმჯობესებასთან.

მოზაიკით სამხედროებისათვის განკუთვნილი აბანოების შემკობის მაგალითი იშვიათია. მასალების მიხედვით ჩანს, რომ ობიექტი აშენებული უნდა იყოს ძალიან ადრეულ ეტაპზე, რომაელების აქ დამკვიდრებისთანავე. სავარაუდოდ ნაგებობა ახ.წ. I ს. მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. ხოლო ცოტათი მოგვიანებით მოხდა მისი რეკონსტრუქცია. ამ უბნებზე სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება [კარასევიჩ-სციპიორსკი,მამულაძე, 2016:402-406].

ციხის სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩნდა რომაული ხანის (I –III სს.) მონუმენტური ნაგებობების ნაშთებიც. მისთვის ძირითადად დამახასიათებელია საკმაოდ ფართო (1,1-1,2მ) და მიწაში ღრმად ჩაშვებული საძირკვლები. ისინი მოზრდილი ქვათლილებისგანაა ამოყვანილი. ზოგიერთის სიგრძე 1,5 მ-ია. მათზე გამავალი ქვის წყობის როგორც გარე, ისე შიდა ზედაპირი თიხის ხსნარითაა შელესილი. კედლებთან შედარებით, კვადრები 20 სმ-ით წინაა გამოზიდული. შემორჩენილია ცოკოლზე დაშენებული ქვის წყობის სამი, ზოგჯერ ოთხი რიგი. საპირე ქვაბად გვერდებ ჩამოსწორებული თუ სწორზედაპირიანი ნიმუშებია შერჩეული. მათ შორის არსებული სივრცე შევსილია საშუალო თუ მოზრდილი ქვებისა და ტალახის ნარევით. ჰიდრავლიკური ხსნარის გამოყენების შემთხვევები ცოტა მოგვიანო პერიოდის (III ს.) ნაგებობებშიც გვხვდება. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1,35-1,4 მ-ს აღწევს, ხოლო სიფართე -0,9 -0,95 სმ. კედლების ძირითადი ნაწილი როგორც ადგილობრივ, ისე რომაულ ნაგებობებშიც კვლავინდებურად ხის კონსტრუქციისაა.

ნაგებობა ორფერდა სახურავიანი უნდა ყოფილიყო. გადასახურავ მასალად, ძირითადად, გვხვდება სოლენის ტიპის კრამიტი, თუმცა შედარებით მოგვიანო პერიოდის ნაგებობაში, როგორც ადგილობრივში, ისე რომაულში, მატულობს ღარიანი კრამიტის გამოყენების შემთხვევები. In situ შემორჩენილი ქვის ბაზები იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ზოგიერთ შენობას ჰქონია სვეტებიანი დარბაზი. მაგალითად, ყაზარმისათვის განკუთვნილ შენობას აღმოსავლეთით მთელს სიგრძეზე გალერა მიუყვებოდა. საკუთრივ შენობის შიგნით გვხვდება სამზარეულო და სასადილო ოთახები, ღარიანი კრამიტით გამართული კოლექტორები, გათბობის

სისტემები. ზოგჯერ გამტიხრავი შიდა კედლები სოლენის ტიპის კრამიტების წყობითაა ნაშენები. გვხვდება ჰიდრავლიკურხსნარიანი, მოკირწყლული, კერამიკული ფილებით თუ აგურით გამართული იატაკი და ა.შ.

ეს ნაგებობა გარნიზონის ყაზარმადაა მიჩნეული. იგი ე.წ. ორფოსტატური ტექნიკითაა აშენებული. მსგავსი თიხის ხსნარით ნაგები რომაული ხანის შენობები აღმოჩენილია სხვა თანადროულ ძეგლებზე. ახ. წ. II ს-ის დასაწყისიდან გონიო-აფსაროსის ციხის შიგნითარსებული ნაგებობების უმრავლესობა უკვე რომაული საფორთიფიკაციო ნაგებობებისათვის დამახასიათებელი სტილით შენდება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობისგან იღებენ იმ ელემენტებს, რაც აქ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრდა და პრაქტიკული თვალსაზრისით მისაღები დარჩა.

ციხის სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთზე, კერძოდ 22-ე კოშკის წინ აღმოჩნდა რომაული ხანის ოთხკუთხა მოყვანილობის წყლის ცისტერნა, რომელიც ქვის კვადრში გამართული გამანაწილებელით წყალსადენთან ყოფილა შეერთებული. აქვე აღმოჩნდა ჭა.

მრავალმხვრივ საინტერესო მასალაა გამოვლენილი შიდაციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. დედაციხის ეს ნაწილი რომაულ ხანაში ერთგვარ სამეურნეო-სახელოსნო უბანს წარმოადგენდა. მიკვლეულია 30-მდე ქვის ხელწისქვილი, ამფორების გამოსაწვავი ქურისა და წარმოების ნაშთები, აგრეთვე, რომაული ვერცხლის მონეტების განძი. აქვე გაითხარა ბავშვის სამარხი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ნაკეთობანი, მათ შორის რომის იმპერატორების მონეტები [კახიძე ა, მამულაძე შ, მინდორაშვილი დ, ებრალიძე ტ, 2005]. ამ უბანზე გათხრები ამჟამადაც გრძელდება.

მნიშვნელოვანი საველე სამუშაოები განხორციელდა ციხის ცენტრალურ ნაწილში. აქაც შეისწავლება რომაული ხანის მონუმენტური ნაგებობის ნანგრევები. გამოვლენილია კედლებისა და საძირკვლის ნაწილი: სიგრძე 28მ, სიგანე -24მ, იგი გარნიზონის უფროსის რეზიდენციად ე.წ. პრეტორიუმადაა მიჩნეული. გამოიყოფა 9 სათავსო: მათ შორის დარბაზი, სადაც ხდებოდა ელჩების მიღება და სადღესასწაულო ცერემონიალების ჩატარება. ამავე კომპლექსს ეკუთვნის დიდი ზომის ქვის ბაზები

(2×1,2მ, 1,4×1,3 მ და 1,2×1 მ-ზე). კედლების სიგანე 1,2-1,5 მ-ია; მათგან აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები პილონებითაა გამაგრებული, ხოლო ზოგან რუსტირებული კვადრებიცაა გამოყენებული. პრეტორიუმის ნანგრევებზე ადრეშუასაუკუნეებში ახალი ნაგებობა აღუმართავთ. ამ დროის უნდა იყოს შედგენილი დიდი ბაზები. მას ჰქონია გალერეა და ჩაუვლიდა ქვის ფილებითა და ბრტყელი კრამიტით მოპირკეთებული ქუჩა. ამ ნაგებობის ზუსტი გეგმა ჯერ არაა დადგენილი.

ბოლო პერიოდში წარმოებული გათხრების შედეგად ყაზარმის ნაშთები აღმოჩნდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც. რომაული ეპოქის კულტურულ ფენაში საბოლოოდ გამოიკვეთა ორი ნაგებობის ნაშთი. ჯერჯერობით მათი სრულყოფილი გეგმის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. მათი კედლების გარკვეული ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. ორივე მათგანი მოზრდილი ზომისაა. ნაგებობათა ნანგრევებთან ერთად დაფიქსირდა თიხის ფილებიანი თუ ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკის ნაშთები. აქ სამუშაოები ამჟამადაც გრძელდება.

სრულიად განსხვავებულია და საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა გამართული რომაული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა, რომელიც ციხის მშენებლობის საერთო დაგეგმარებაში ზის. სასმელ წყლად გამოუყენებიათ ციხის სამხრეთით გამომდინარე მსხვილი დებეტის მქონე შესანიშნავი წყარო. პირველ რიგში აუგიათ დიდი ზომის აუზი, რომლის საფასადო ნაწილი გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული, ხოლო შიდა სივრცე დუღაბითაა შელესილი. ამ პერიოდის მსგავსი წყალსაცავი მეორე არცაა ცნობილი საქართველოში. სათავე ნაგებობიდან გაუყვანიათ მსხვილი მილების სამი რიგი, რომელიც შედიოდა ციხის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე. წყლის მილებით დატოტვილი ჩანს როგორც შიდაციხის, ისე გარე ქალაქის ტერიტორია.

სურ: 6

აღსანიშნავია ისიც, რომ წყალმომარაგების სისტემები შესანიშნავად, პირვანდელ მდგომარეობაშია შემონახული (სურ. 6). ამ მიმართებით შეიძლება ითქვას ანალოგი არც ეძებნება. საერთოდ, აფსაროსის წყალმომარაგების სისტემები ეხმაურება ანტიკური სამყაროს რიგ მსხვილ ცენტრებს. თანდართული წყალმომარაგების სისტემების ნაშთები აღმოჩენილია ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზეც: ოლვიაში, ქერსონესში, ხარაკსში, პანტიკაპეონში, მირმეკიონში, ნოვაში და ა.შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომაელები ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად იყენებდნენ არტეზიულ ჭებსაც.

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოუწყვიათ ახ. წ II-III სს. კანალიზაციების სისტემებიც. ამ მიმართებით განსაკუთრებით საინტერესო მონაცემები დაგროვდა სამხრეთი კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე. ჯერჯერობით გამოიკვეთა ქვის ფილების მონუმენტურად ნაგები ოთხკუთხაგანივკვეთიანი კოლექტორის ნაშთები. ისინი დამზადებულია საგანგებოდ გათლილი მოთეთრო-მოყვითალო ქვისგან. ეს სტანდარტული ფილები ადგილობრივი ჯიშის ქვას არ უნდა წარმოადგენდეს. კოლექტორის კედლებიც ასევე დამუშავებული ქვებითაა ამოშენებული, ხოლო ძირზე ქვის ფილებია დაგებული. არხის სიგანე 32 სმ-ია, სიმაღლე 45 სმ. კანალიზაციის მსგავსი სისტემა ფიქსირებულია ბიჭვინთაში, რომელიც აფსაროსის სისტემებთან შედარებით ერთი საუკუნით უფრო გვიანდელია. აფსაროსის მსგავსი ოთხკუთხა ფილებითაა

გადახურული ათენის აკროპოლისისა და სხვა რომაული თანადროული კანალიზაციის სისტემებიც.

არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულია მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალაც, რომელიც წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ წყაროს წარსული ეპოქების კვლევისათვის.

მონაპოვარში წამყვან ადგილს ახ. წ. I-III სს. ამფორები იკავებს (სურ. 7,8,9). მათდამი ინტერესი დიდია, რადგან ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ ასწლეულების მანძილზე თვალი გავადევნოთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ უმნიშვნელოვანესი ცენტრის ურთიერთობებს დანარჩენ სამყაროსთან. მათში სახეობრივად ჭარბობს შემოტანილი ნაკეთობანი. რაოდენობრივი თვალსაზრისით კი წამყვანია ადგილობრივი ნაწარმი. ახალი აღმოჩენების მიხედვით ცალკე გამოიყოფა თვით გონიო-აფსაროსში წარმოებული პროდუქციაც. გონიო-აფსაროსის სახით ანტიკური საწარმოო ცენტრების ფართო არეალს კერამიკული ტარის დამამზადებელი ახალი ცენტრი შეემატა. ადგილობრივი წარმოების შესახებ უდაოდ მრავლის მთქმელია აფსაროსში აღმოჩენილი ქურა-სახელოსნო, რომელიც ახ.წ II ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში ფუნქციონირებდა, აქ ძირითადად ყელწიბოიან და შედარებით მცირე ზომის ყავისფერკეციან ამფორებს ამზადებდნენ.

დღეისათვის აფსაროსის მასალებში გამოიყოფა რომაული პერიოდის ამფორების 20-მდე ტიპი, რომლებიც თავისმხვრივ ცალკეულ სახეობად იყოფიან [ხალვაში მ, 2002:10].

სურ: 7

სურ: 8

სურ: 9

დასტურდება, რომ ციხე-ქალაქის ცხოვრების პირველ ეტაპზე, ახ. წ. I ს. მიწურულსა და II ს-ის დასაწყისისთვის წამყვანია იმპორტული კერამიკული ტარა; ესაა იტალიკური, კოსური და როდოსული ამფორები, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის იშვიათობას წარმოადგენს. ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებიდან მდგომარეობა არსებითად იცვლება. წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთში დამზადებული ამფორები. როგორც ჩანს, აფსაროსში განლაგებული რომაელთა ჯარების მომარაგების საქმეში მთავარ როლს უკვე სამხრეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ, სინოპე, ამისო, ტრაპეზუნტი და ჰერაკლეა ასრულებდა.

ბოლო პერიოდის მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში ასევე გამორჩეული ადგილი უკავია წითელლაკიან კერამიკას. აქაც მცირე რაოდენობით გვხვდება ახ.წ. I საუკუნის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრში დამზადებული წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები (ებრალიძე ტ, 2005:29-32). ამ ტიპის კერამიკა იტალიკური ნაწარმის ტიპშია გაერთიანებული და ახ. წ I საუკუნით თარიღდება. ამავე ეპოქის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ცენტრალური გალიის ნიმუშებს ემსგავსება და ფართოდ ჩანს გავრცელებული ევროპულ ნაწილში. ისინი ახ.წ. I საუკუნით თარიღდება. გონიო-აფსაროსიში ამავე ეპოქის დასავლეთ ევროპის საწარმოო ცენტრში დამზადებული რამდენიმე ჭრაქიცაა მოპოვებული [ებრალიძე ტ, 2005:53-66].

აფსაროსში ასევე გვხვდება წითელლაკიანი კერამიკის პერგამული წარმოშობის ადრეული ნიმუშებიც, რომლებიც ასევე ახ. წ I ს-ით თარიღდებიან. აქაური ნაწარმი ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან თანდათანობით მატულობს და II-III სს. კულტურულ ფენებში კიდევ უფრო ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახ. წ. I ს. სინოპური ლუთერიები საქართველოს ზღვისპირეთში მხოლოდ აფსაროსშია აღმოჩენილი. მათი რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს ახ.წ. II-III სს. გვხვდება სხვა საწარმოო ცენტრებიდან შემოტანილი ნაკეთობანიც. მათზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს საუკუნეების მანძილზე მჭიდრო პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აქვს

როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან. განსაკუთრებით კი სამხრეთ შავიზღვისპირეთთან.

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავვალრიცხოვანი მინის ნაწარმიც აღმოჩნდა (სურ. 10,11). მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რომაული ხანის მინის ჭურჭლის მსგავსი ნაირსახეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ძეგლებისათვის ჯერჯერობით უცნობია. თარიღდებიან უპირატესად ახ. წ. I-III საუკუნეების სხვადასხვა საფეხურით [შალიკაძე თ, 2004:15-74]. ჩანს, რომ გონიო-აფსაროსში ახ.წ. I საუკუნეში უპირატესად გავრცელებული იყო დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში წარმოებული პროდუქცია (განსაკუთრებით მოზაიკური და ვერტიკალურწიბოიანი მინის ფაილები). რაც შეეხება ახ. წ. II-III საუკუნეების მინის ნაწარმს, ისინი ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდანაა შემოტანილი.

სურ: 10 სურ: 11

გონიო-აფსაროსის მრავალრიცხოვან მონაპოვრებს შორის ასევე ყურადღებას იქცევს სერაპისის ქანდაკება, რომელიც სამხრეთი კარიბჭის გარეთ SW-III სექტორის მე-80 კვადრატში მინის ნაწარმთან და მონეტებთან ერთად აღმოჩნდა. იგი ახ. წ. II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის დასაწყისით თარიღდება და სევერიუსის (193-211 წწ.) მართველობის ეპოქის თანადროულ ნიმუშებს მიეკუთვნება. მსგავსი ნიმუშები საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი რომის იმპერიის რეგიონებში და ისინი თავმოყრილია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში.

საკმაოდ მრავალრიცხოვანია ლითონის ნაკეთობანიც. მათ შორის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულები: საყურეები, ბეჭდები (სურ. 13), რგოლები,

გულსაკიდები, მძივები, სამაჯურები, ქინძისთავები, ძეწკვები. ასევე სხვადასხვა დანიშნულების ნივთებიკოვზები, მახათები, დანები, ჭრაქები, სამფეხები, ბულა, კანდელაბრი, ყალიბები და ა.შ. ბევრია ქვის ჭურვები, შურდულის ქვები, სალესები, საპრიალებლები, მორგვი და სხვა. ასევე ითქმის რკინის იარაღების შესახებაც და ა.შ. მათ შესახებ ამჯერად ვრცლად ვერ შევჩერდებით.

გონიო-აფსაროსის აღმოჩენებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნუმიზმატიკური ძეგლები (სურ.12). მათგან ყველაზე ადრეულია ტიბერიუსის სახელით მოჭრილი ქ. ლუგდენუმში (გალია) მოჭრილი დენარი. ამ ზარაფხანაში მოჭრილი პირველი საუკუნის მონეტები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული კასტლუმებისათვის თითქმის უცნობია. უნიკალურ მონაპოვართა შორის უნდა ჩაითვალოს იუდეის მეფის აგრიპა I (37-44 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტების აღმოჩენა. გონიო-აფსაროსში მოპოვებული რომაული მონეტების ადრეულ ჯგუფებს შეადგენს ქალაქ ანტიოქიის მონეტები. სირიული მონეტების ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ტიტუსის სახელით ქალაქ გადარაში მოჭრილი სპილენძის მონეტა. ეს მონაპოვარი ერთადერთია არამარტო აფსაროსისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ქრონოლოგიურად მომდევნო ხანისაა კაბადოკიის ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. აფსაროსის ნუმიზმატიკურ მასალებში გვაქვს დინარებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქ. ტრაპეზუნტის მონეტები. გონიოს ბოლო დროის მონაპოვრებს შორის გვაქვს გორდიანე III სახელით ქ. სინოპეში მოჭრილი სპილეძის მონეტაც. აფსაროსში აღმოჩენილი II საუკუნის მონეტების უმრავლესობა რომშია მოჭრილი. გვხვდება კეისარიაში, აღმოსავლეთის ზარაფხანაში, ტრაპეზუნტში და ნეოკესარიაში მოჭრილი მონეტებიც. რაც შეეხება III საუკუნის მონეტებს მათი უმრავლესობა ვერცხლისგანაა დამზადებული. ისინი ძირითადად მოჭრილია კესარიაში, რომში, ტრაპეზუნტში, თესალონიკში და სინოპეში. II –III საუკუნეების აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ჩანს, რომ აფსაროსი მცირე აზიის გავლენის სფეროა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად მიმართულია კაპადოკიის პროვინციისა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქალაქებისკენ [ვაშალომიძე ი, 2001].

სურ: 12 სურ: 13

აფსაროსში ადრე და განსაკუთრებით ბოლო წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ ახ.წ. I საუკუნეში აქ დაბანაკებული რომაული გარნიზონები, ძირითადად, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და რომის დასავლეთი ნაწილებიდან მარაგდებოდა. ჩანს, რომ ახ.წ. II საუკუნის დასაწყისიდან მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ სინოპე, ამისო, ტრაპეზუნტი, ჰერაკლეა და სხვა. ურთიერთობა არ წყდება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთანაც. არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანს, რომ რომაული გარნიზონები გონიო-აფსაროსში IV საუკუნის მეორე ნახევრიდან აღარ დგანან. შეიძლება ითქვას, რომ აფსაროსის ციხე-სიმაგრე აქედან მოკიდებული ვიდრე VI საუკუნის 30-იან წლებამდე უბრალოდ მიტოვებულია.

ამ მოსაზრებას წერილობით წყაროებთან ერთად მხარს უჭერს არქეოლოგიური მონაცემებიც. აფსაროსში შესწავლილ ყველა უბანზე I-III სს. კულტურულ ფენებს უშუალოდ მოსდევს ბიზანტიური ხანის მასალები, რომელიც VI ს პირველ მეოთხედის შემდგომი პერიოდით თარიღდება. მსგავსი სიტუაცია უნდა შენარჩუნებულიყო VI ს 30-იან წლებამდე, რასაც ადრე ბიზანტიური ხანის ავტორები: ახ.წ. V თუ VI ს. ანონიმი, სტეფანე ბიზანტიელი და პროკოპი კესარიელი ადასტურებენ. VII-VIII სს. წყაროებიც, ძირითადად III-IV სს. მოღვაწეების ტექსტებს იმეორებს. როგორც ჩანს, აფსაროსის მეორე ხარისხოვან პუნქტად გადაქცევა რეგიონში ბიზანტიელთა ახალი დასაყრდენის-პეტრას ანუ იუსტინიანეს გამოჩენით უნდა აიხსნას, რომელიც გონიოდან 40 კმ. ჩრდილოეთით, დღევანდელი ციხისძირის ტერიტორიაზე მდებარეობდა და შესაბამისად აფსაროსის იმპერიის საზღვრების ზურგში მოექცა [კახიძე ა, 2002:121-122]. ციხე-ქალაქ აფსაროსში ცხოვრების

გამოცოცხლება VI ს. მეორე ნახევრიდან იწყება. რაც აქ ბიზანტიელების დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული.

1974 წლის გაზაფხულზე, სოფელ გონიოში იმ ქედზე, რომელიც სამხრეთიდან დასცქერის გონიოს ციხესა და მდინარე ქუჩუკ-ჭოროხს, საავტომობილო გზის გაფართოებისას, მოზრდილი ლოდის ძირას, ლითონის ჭურჭელში აღმოჩნდა ოქროს ნივთების კომპლექსი. მას „გონიოს განძი“ ეწოდება, რადგან აღნიშნული ნივთები რომლებიც მრავალრიცხოვანი ანალოგიების მიხედვით, თავის დროზე ალბათ სამარხეული ინვენტარის ნაწილს შეადგენდნენ, აშკარად განძად ყოფილა ჩალაგებული ლითონის ჭურჭელში.

გონიოს განძში გამოირჩევა და საგანგებო ყურადღების ღირსია რამდენიმე ნივთი. მათ შორისაა ოქროს საკიდი-მედალიონი მზის ღვთაების-ჰელიოსის გამოსახულებებით.

გონიოს განძის ერთი ყველაზე გამორჩეულ ნივთთაგანია „ჭაბუკის“ ოქროს ქანდაკება, გონიოს განძის ტანშიშველი ჭაბუკის (დიოსკური||კაბირი||კორიბანტი) გამოსახულება თავისი იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით იმეორებს ახ. წ I სს-ში ფართოდ გავრცელებულ დიოსკურთა გამოსახულებების სტატუარულ ტიპს, რომლის ძირითადი ელემენტები ლისიაპმა და მისი სკოლის წარმომადგენლებმა შექმნეს.

გონიოს განძში შემავალ ნივთებს შორის სრულიად უნიკალურად გამოიყურება აგრეთვე მრგვალი გარსაკრავი.

1. გონიოს განძის ნივთების დიდი ნაწილი მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით სრულიად ერთგვაროვანია და სხვა (არმაზისხევის, კლდეეთის, თაგილონის, ურეკის, მახოს) კომპლექსებთან ერთად განეკუთვნება საიუველირო ხელოვნების ერთ წრეს, რომელიც საქართველოში ახ.წ. პირველ საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ამ გაძის ცალკეული ნივთები აღნიშნული ხანის საქართველოს ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშებია, რომლებშიც ნათლადაა ასახული როგორც ადრეულ ურარტულ ეპიგრაფიკასა და ბერძნულ წყაროებში (ევმელოსი) მოხსენიებული ძველი კოლხეთის სამეფოსათვის დამახასიათებელი თემატური (მზის ღვთაების-ჰელიოსის, დიოსკურ-კორიბანტების მოტივები) და საოქრომჭედლო

(ცვარას ტექნიკა, ცვარათი შესრულებული მზის სიმბოლური გამოსახულებანი და გეომეტრიული ფიგურები) ტრადიციები, ისე ცალკეული ელემენტები (საოქრომჭედლო ნაკეთობათა ქვებით შემკობა, ამ ქვების ფერთა შეხამება და ა.შ.), რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვეს ფეოდალური ხანის საქართველოს ოქრომჭედლობაში.

გონიოს ოქროს ნივთები და არმაზისხევისა და კლდეეთის მდიდრული სამარხების ინვენტარი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების მიხედვით სრულიად ერთგვაროვანია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გონიოს განძის შემადგენელი ნივთები ეკუთვნოდნენ ახ.წ. I ს. საქართველოს მმართველი საზოგადოების კიდევ ერთ უცნობ წრეს, რომელიც განაგებდა ძველი საქართველოს კიდევ ერთ ადმინისტრაციულ ქვეყანას, ცენტრით ციხე-ქალაქ აფსარში და ახალ შინაარსს სძენენ იმ მკრთალ ცნობებს, აფსარ-ქალაქის შესახებ ძველ მატიანეებში რომაა მიმოფანტული [ლორთქიფანიძე ოთ, მიქელაძე თ, ხახუტაიშვილი დ, 1980].

ასეთია მოკლედ გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული შენობა-ნაგებობებისა და არქეოლოგიური მასალების ძალზე მცირე ნაწილის მოკლე დახასიათება. არქეოლოგიური მონაპოვრები წარმოადგენენ უძვირფასეს წყაროს აფსაროსის, საერთოდ კი, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკურ, კერძოდ, რომაულ-ბიზანტიურ, ხოლო მოგვიანებით აღმოსავლურ სამყაროსთან პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ყოფისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით. ნივთიერი მასალების წერილობით წყაროებთან შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ აქ მიმდინარე ისტორიულ პროცესებს ძვ.წ. VIII-VII სს-დან მოკიდებული თითქმის ჩვენს დრომდე [ხალვაში მ 2002: ებრალიძე ტ, 2005; ვარშალომიძე ი, 2001; შალიკაძე თ, 2004 და სხვა].

თავი III. რომაული ხანის სამარხები.

ამ ბოლო წლებისათვის საინტერესო სამუშაოები განხორციელდა რომაული ხანის სამარხების შესწავლის მიზნით. ამ ეპოქის ძეგლებმა ყურადღება მიიქციეს შემთხვევითი აღმოჩენებით. ერთ-ერთი მათგანი მომდინარეობს ხელვაჩაურის

მიკრო უბან ზანაქიძეებიდან. ნივთები გამოჩნდა საცალფეხო გზის ერთი მეტრით გაფართოებისას. ესენია: ოქროს დიადემა, ადგილობრივი და უცხოური თიხისა და მინის ჭურჭელი. შეგროვდა რამდენიმე მძივი. წაგრძელებული ფორმის დიადემა დამზადებულია თხელი ფირფიტებისაგან. მასზე გადმოცემული უნდა იყოს სამყაროს სამი დიდი განზომილების- ცის, დედამიწისა და ქვესკნელის სიმბოლური გამოსახულებანი. მინის სირიული წარმომავლობის სანელსაცხებლე ძვ.წ. II-III სს. ნაკეთობა უნდა იყოს [შალიკაძე თ, 2004:3-101].

მორიგი შემთხვევითი აღმოჩენა სოფ. კაპანდიბთანაა დაკავშირებული (ხელვაჩაური). მასალამ გზის ჭრილში იჩინა თავი. გონიო-აფსაროსის ექსპედიციამ აქ მცირე მასშტაბის საველე სამუშაოებიც განახორციელა. შესწავლილ იქნა ორი ორმო სამარხი. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია თიხის ქოთნები, დოქები, კოჭობები, ჯამები, ვერცხლის სამაჯური (სურ. 15), ბეჭედი, მძივები (სურ.14), მონეტა და ა.შ. სამარხები ახ.წ. II-III საუკუნეებითაა დათარიღებული [მამულაძე შ, ებრალიძე ტ, თურმანიძე მ, 2010:55-67], ამავე პერიოდით თარიღდება აქვე აღმოჩეენილი ოქროსა და ვერცხლის ნივთებისგან შედგენილი განძიც [კახიძე ა, შალიკაძე თ, ფარტენაძე ვ, 2015:53-62].

სურ: 14 სურ: 15

როგორც ჩანს, გვიანანტიკურ ხანაში ადგილობრივ მცხოვრებთ ახლო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ ზღვისპირა ზოლში. კერძოდ გონიო-აფსაროსში დაბანაკებულ რომაელებთან. რომელთა შუამავლობით იმპორტული ნაწარმი ვრცელდება ადგილობრივ მოსახლეობაში. ანალოგიური სურათი ჩანს მახოს მონაპოვრების მიხედვითაც. როგორც ჩანს, მდ. ჭოროხის ორივე სანაპირო მჭიდროდ

იყო დასახლებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. სამარხები ახ. წ. II-III სს. თარიღდება.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ სამარხის ტიპი, ესა თუ ის დამარხვის წესი, ინვენტარი, მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო გარკვეული ეთნოსის, არამედ მისი ცალკეული კლასებისა თუ სოციალური ჯგუფების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. მისი ცალკეული ელემენტების შეცვლაც ხშირად დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძვრებთან [ლორთქიფანიძე გ, 1991; 156-157].

ჭოროხის ქვემო დინების ამ ზოლში შესწავლილ სამაროვნებზე აღმოჩენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რომაელთა გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო აფსაროსსა და მის შემოგარენში, არამედ ზღვიდან მდინარე ჭოროხის გასწვრივ მთელ სიგრძეზე 20-25 კმ. სიღრმეში.

ფიქრობენ, რომ ეს ბუნებრივიცაა, რადგან აფსაროსში მდგომი ლეგიონერების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც მდ. ჭოროხსა თუ აჭარისწყალზე, ტაო-კლარჯეთისკენ, იბერიისკენ, არმენიისკენ თუ მეორეს მხრივ, სამცხე- ჯავახეთისკენ გამავალი გზების გაკონტროლებაც უნდა ყოფილიყო. რაც, შეეხება საკითხს, ახდენდა თუ არა რომაული სამყარო ამ რეგიონის კულტურულ „ანექსიას“, შენარჩუნებული იყო თუ თუ არა რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების, მმართველობისა და ინფრასტრუქტურის დარგები და ელემენტები, ამის შესწავლა აქ არსებული ძეგლების ფართო მასშტაბიანი გათხრების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

შედარებით ფართო მასშტაბის სამუშაოები განხორციელდა სოფ. მახოში (ხელვაჩაური). თუ პირველი ზემოთ დასახელებული ძეგლი ექცევა მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე, მახო მდებარეობს მარცხენა სანაპიროზე საკმაოდ დაქანებულ ფერდობზე. სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. გამოიყოფა კოლხური ამფორა, თიხის ქოთნები, ჯამები და სხვა.

რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ნივთებიდან აღსანიშნავია თიხის კვირისთავები. ერთადერთია იმპორტული ნაკეთობა წითელლაკიანი ჯამის სახით.

უახლესი აღმოჩენებში საკმაო რაოდენობით წარმოდგენილია მინის კოლექცია. ესენია სხვადასხვა სახის სასმისები, სანელსაცხებლეები, კოლბისებრი თუ გრაფინისებრი ჭურჭელი გამოირჩევიან მაღალმხატვრულობით.

სამარხეულ ინვენტარში წარმოდგენილი ყოფილა ვერცხლის საყურე რგოლები, ასევე ვერცხლის ყელსაბამი. სამკაულის მორიგ სახეობას ქმნიან მძივები და მძივსაკიდები.

მახოს უახლეს აღმოჩენებში საკმაო რაოდენობით ყოფილა წარმოდგენილი ვერცხლის რომაული მონეტები. მოხერხდა 11 მათგანის განსაზღვრა, რომლებიც II-III სს. თარიღდებიან.

როგორც ვხედავთ, საველე სამუშაოები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოში საკმაოდ საინტერესო შედეგების მომცემი აღმოჩნდა. შესწავლილი სამარხეული კომპლექსები ახ.წ. III ს -ით თარიღდება. მნიშვნელოვანია ის, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის კლასიკური, ელინისტური და ადრე შუასაუკუნეების სამაროვნების რიცხვს გვიან ანტიკური და რომაული ხანის ძეგლიც შეემატა. არსებითია ისიც, რომ თვით სოფელ მახოში გონიოსა და ციხისძირში შემთხვევით აღმოჩენილია საკმაოდ მდიდრული განძები, რაც იმის მაუწყებელია რომ გვიან ანტიკური ხანისთვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დიდ როლს თამაშობდა ლაზიკის სამეფოს ფორმირებაში. ამას ემატება ისიც, რომ ძეგლი მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, საყოველთაოდ ცნობილ გონიო-აფსაროსთან ახლოს.

არიანეს დროს მნიშვნელოვან ზღვისპირა პუნქტად და ამ რეგიონში რომაელთა ერთ-ერთ მთავარ საყრდენ სიმაგრედ წარმოდგენილი აფსაროსი, როგორც ჩანს, არც შემდგომ კარგავს თავის დანიშნულებას და როლს.

თავი IV. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რომაულ ხანაში (უახლესი აღმოჩენების მიხედვით).

ახ.წ. I-IV სს. ანტიკურ სამყაროსთან ჩვენი რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნუმიზმატიკურ მასალებს.

დღესდღეობით არსებული ნუმიზმატიკური მასალა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ. წ I-III სს. სამონეტო მიმოქცევის შემდეგ სურათს გვიხატავს: I საუკუნეს განეკუთვნება ანტიოქიაში მოჭრილი სპილენძის მონეტები და ერთი ცალი კესარიული ვერცხლის მონეტა; II ს. ნუმიზმატიკურ მონაპოვარში წამყვანია კესარიული ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, თითო ცალია რომსა (დენარი) და ტრაპეზუნტში მოჭრილი (სპილენძი) საფასეები; III საუკუნის პირველი ნახევრის მონეტებში კვლავ ჭარბობს კესარიული ვერცხლის მონეტები, მაგრამ მათთან ერთად გვხვდება რომაული დენარები ე.წ. ანტონინიანები, აგრეთვე, ქალაქ ტრაპეზუნტისა და ქალაქ სინოპეს სპილენძის მონეტები. III ს. დასასრული წარმოდგენილია სპილენძის მონეტებით, რომელთაგან ერთ-ერთი ქიზიკის ზარაფხანაშია მოჭრილი.

სპილენძის მონეტები ძირითადად კოლხეთის სანაპირო ქალაქებში და იმ პუნქტებში იყო გავრცელებული, სადაც რომაული გარნიზონები იდგა, ქვეყნის სიღრმეში კი ძირითადად ვერცხლის მონეტები მიმოიქცეოდა. ამის მოწმობაა კოლხეთის შიდა რაიონებში აღმოჩენილი კესარიული ვერცხლის მონეტების მრავალრიცხოვანი განძები. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული მონეტები ხანგრძლივად იყო მიმოქცევაში, რასაც ადასტურებს მათი აღმოჩენა გაცილებით გვიანდელ, კერძოდ IV-VI საუკუნის სამარხეულ კომპლექსებში [ვარშალომიძე ი, 2001].

სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კერამიკულ ტარას (ამფორებს). გონიო-აფსაროსში უკანასკნელ წლებში 30-მდე სახეობის ამფორთა ფრაგმენტების გამოყოფა მოხდა. რომელთა ძირითადი მასა რომაული ხანისაა და თარიღდება ახ.წ. I ს. მეორე ნახევრითა და III ს. დასასრულით. ახ. წ. I საუკუნეს განეკუთვნება კოსის (შეწყვილებულყურიანი ამფორების გვიანდელი ვარიანტები), იტალიკური (ქიმისებურშვერილიანი ყურებით) და როდოსული ე.წ. ძაბრისებრპირიანი ამფორები. მათგან ყველაზე დიდი რაოდენობით როდოსული ამფორების ფრაგმენტები გვხვდება, ხოლო კოსური და იტალიკური ნაწარმი მხოლოდ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი. ახ. წ II-III სს. სამეურნეო

ნაწარმში წამყვანი ადგილი უკავია მცირეაზიულ, განსაკუთრებით კი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებში დამზადებულ კერამიკულ ტარას. მათ შორის რაოდენობრივად მრავალფეროვნებით გამოირჩევიან სინოპური ამფორები. აფსაროსში აღმოჩენილია რომაული ხანის სინოპური ამფორების შვიდი ტიპი, რომელთაგან ორი აქამდე უცნობი იყო არქეოლოგიის განყოფილების არქივში;

ასეთი სიჭარბე კანონზომიერია, ვინაიდან სინოპე ამ დროს აღმოსავლეთ პონტოში განლაგებული რომაული ჯარების მთავარი მომმარაგებლის ფუნქციას ასრულებდა.

რომაულ ხანაში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სინოპეს კვლავ გააქტიურება თვალსაჩინოა სხვა რიგის მასალებითაც. კერძოდ, სინოპური ამფორების მრავალრიცხოვან ფრაგმენტებთან ერთად გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია სინოპური, გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტებისა და ლუთერიების ფრაგმენტებიც.

სინოპურთან ერთად გონიო აფსაროსში სამხრეთ შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრების სამეთუნეო ნაწარმიცაა წარმოდგენილი, მაგრამ სინოპური ნაწარმისგან განსხვავებით რომლის თიხა ადვილად გამოსაცნობია, დანარჩენი ცენტრების ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, რაც დაკავშირებულია გვიანანტიკურ ხანაში სამეთუნეო წარმოებაში მომხდარ ტექნოლოგიურ ძვრებთან, რის გამოც ამ ცენტრების ნაწარმის გამოსაცნობი ნიშნები კლებულობს. გარდა ამისა, აღნიშნული პერიოდის რომაული ამფორები გაცილებით სუსტად არის შესწავლილი, ვიდრე წინარე პერიოდისა.

ახ. წ I-IV სს. არქეოლოგიურ მასალებში წამყვანია სამხრეთ შავიზღვისპირეთის ნაწარმი, გაცილებით ნაკლებია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრების (კოსი, როდოსი) კერამიკული ტარა. ნათელი ხდება, რომ აფსაროსში რომაულ ხანაში და შემდგომ ბიზანტიურ ხანაშიც, კერამიკული ნაწარმის ეს სახეობა და მასთან ერთად სატრანზიტო საქონელი (პური, ზეთი, ღვინო) ძირითადად სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებიდან შემოდიოდა [ხალვაში მ, 2002].

ახ. წ. I-IV სს. იმპორტულ ნაწარმში გარკვეული ადგილი ეჭირა წითელლაკიან კერამიკას, რომელიც სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლების-ჯამების, ლანგრების, თეფშების, მომცრო დოქებისა და ბალზამარიების ფრაგმენტების სახითაა

წარმოდგენილი. ამ ტიპის კერამიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი მასალა აღმოჩენილია გონიო-აფსაროსში.

წითელლაკიანი კერამიკა მონაპოვრებში საინტერესო ჯგუფს ქმნის. შესწავლილია მათი ძირითადი ტიპები. შესაძლებელი ხდება მათი ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. განსაზღვრულია საწარმოო ცენტრები. უმრავლესობას პერგამონიის ნაკეთობანი ქმნიან. გვხვდება სამოსის, სირია-პალესტინისა და რაც მნიშვნელოვანია დასავლური საწარმოო ცენტრების პროდუქცია. ისინი ახ. წ. I-III სს. თარიღდება. მსგავსი ნაკეთობის ძირითადი მომხმარებლები რომაელი ჯარისკაცები იყვნენ.

აფსაროსში აღმოჩენილი ყველა ჭრაქი იმპორტულია. გამოყოფილია რამდენიმე ტიპი. უმრავლესობას აქაც პერგამონის ნაკეთობანი ქმნის. მოპოვებულია სამოსური წარმომავლობის ნიმუშებიც. არის ისეთი ჭრაქებიც, რომელთა საწარმოო ცენტრის ზუსტი განსაზღვრა ჭირს.

აფსაროსში გამოყოფილი I და V ტიპის ჭრაქები, ასევე შემთხვევით აღმოჩენილი ჭრაქი, რომელზეც ეროტიკული სცენაა გამოსახული რომის დასავლეთი რეგიონის საწარმოო ცენტრებთან არის დაკავშირებული. ისინი აქ ლეგიონთა გადაადგილების გზით უნდა მოხვედრილიყო. მხედველობაშია ვესპასიანეს დროს პანონიიდან ორი ლეგიონის (XII Fulminata და XV Apolinaris) კაპადოკიაში გადმოყვანა, რომელთა ვექსილაციები აფსაროსშიც უნდა მდგარიყო (ან შეჩერებულიყო).

მნიშვნელოვან ჯგუფს ლუთერიები ქმნიან. უმრავლესობას სინოპური ნაკეთობანი წარმოადგენდნენ. გამოყოფილია მათი ორი ტიპი. გვხვდება ჰერაკლეური და ადგილობრივი ლუთერიების ერთეული ფრაგმენტები. არ გამორიცხავენ, რომ გონიო-აფსაროსი ლუთერების მწარმოებელ ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. გარკვეულად, შეინიშნება სინოპური ლუთერიების ფორმებზე მიბაძვაც. მათ ახ. წ. I-III სს. ათარიღებენ [ებრალიძე ტ, 2004].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათისა თუ სხვა საკითხთა გარკვევის მიზნით.

საქართველოს ზღვისპირეთში რომაელთა ექსპანსიის შედეგად საგარეო და საშინაო ვაჭრობის ხასიათი მნიშვნელოვნად იცვლება. იმპორტული საქონლის უპირატესი მომხმარებელი აქ მდგარი რომაული გარნიზონები და მათ მახლობლად მცხოვრები კოლხი მოსახლეობა, უფრო მისი წარჩინებული ფენაა. აფსაროსში აღმოჩენილი მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წამყვანია მცირე აზიის საწარმოო ცენტრებში დამზადებული ნაკეთობანი. მიმოიქცევა აქაურ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები. ურთიერთობები არ წყდება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან. გარკვეული წილი მოდის დასავლეთ ევროპის საწარმოო ცენტრების საქონელზეც.

რომაული ხანის არქეოლოგიური მონაპოვარის საინტერესო ნაწილს წარმოადგენს მინის ჭურჭელი, რომლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდა გონიო-აფსაროსში. ესენია სხვადასხვა ცენტრებში და სხვადასხვა ტექნიკით დამზადებული (ჩამოსხმა-პრესირება, ფორმაში გამობერვა, და თავისუფალი ბერვა) და განსხვავებულად შემკული მინის ჭურჭლების-ვერტიკალურწიბოიანი ფიალები, მოზაიკური მინის ჭურჭლები, რელიეფურ გამოსახულებიანი და ბერძნულ წარწერიანი სასმისები, ოთხწახნგა გრაფინისებური ჭურჭლები (კუბიკოსები), ბოთლები, სხვადასხვა ტიპის სანელსაცხებლეები და ჭიქები-ფრაგმენტები. აგრეთვე მინის ძაბრისა და ფრინველის ფორმის ჭურჭლის ნატეხები [შალიკაძე თ, 2004].

ამრიგად, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ახ. წ. I –IV სს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა მთავარი გეზი მიმართული იყო სამხრეთისაკენ, ძირითადად შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსა და საერთოდ მცირე აზიისკენ.

დასკვნები

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში მსოფლიო ისტორიული პროცესების მონაწილეა. ძვ. წ. I საუკუნიდან რეგიონში გააქტიურდა

რომის აღმოსავლური პოლიტიკა. მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საქართველოს ზღვისპირეთმა. რომაელებმა აქ შექმნეს ე.წ. „პონტოს ლიმესი“, რომლის ძირითად დასაყრდენს აფსაროსი წარმოადგენდა. იგი რომაული ხანის კლასიკური ძეგლია. კულტურულ ფენებში, სწორედ რომაული პერიოდის იმპორტული და ადგილობრივი წარმოების მასალები დომინირებს. მათზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება.

არანაკლებ საინტერესოა რომაული ხანის სამარხები, რომლებიც აღმოჩენილია აფსაროსის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში კაპანდიბში, მახოსა და ზანაქიძეებში.

წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ რომაულ ხანაში სამხედრო-სტრატეგიულ ურთიერთობებთან ერთად სახეზე გვაქვს სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები.

ამრიგად, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ახ. წ. I –IV სს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა მთავარი გეზი მიმართული იყო სამხრეთისაკენ, ძირითადად შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსა და საერთოდ მცირე აზიისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

ებრალიძე ტ, იმპორტული კერამიკა- გონიო აფსაროსი, IV, 2004;

ვარშალომიძე ი, სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ. წ. I საუკუნიდან 1453 წლამდე, ავტორეფერატი თბ., 2001;

კარასევიჩ-სციპიორსკი,მამულაძე-ადრეული აბანოები აფსაროსში, მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები., თბილისი., 2016;

კახიძე ა, მამულაძე შ, მინდორაშვილი დ, ებრალიძე ტ, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში., ბათუმი., 2005

კახიძე ა, შალიკაძე თ, ფარტენაძე ვ, ხელვაცაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს 2013 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. - აჭარა, წარსული და თანამედროვეობა. ბათ., 2015;

ლომოური ნ, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის-იიშ, IV, I, 1958;

ლომოური ნ, ეგრისის სამეფოს ისტორია თბ., 1966;

ლომოური ნ, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968;

ლომოური ნ, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975;

ლორთქიფანიძე გ, კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი-,,მაცნე“ 1965;

ლორთქიფანიძე ოთ, მიქელაძე თ, ხახუტაიშვილი დ, გონიოს განძი, თბ., 1980;

ლორთქიფანიძე გ, ბიჭვნთის ნაქალაქარი, თბ., 1991,

მამულაძე შ, ებრალიძე ტ, თურმანიძე მ, რომაული ხანის მასალები სოფელ კაპანდიბიდან., ბათ., 2010;

მამულაძე შ, ხალვაში მ, ასლანიშვილი ლ, აფსაროსის რომაული გარნიზონები.- კავკასიის მაცნე, 2 თბ., 2000;

ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაყმაძის გამოცემა, თბ., 1961;

ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, 1955;

ყაუხჩიშვილი თ, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957;

შალიკაძე თ, გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმისამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან.-გონიო-აფსაროსი, V, ბათუმი., 2004;

ხალვაში მ, კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან- „გონიო-აფსაროსი, II, ბათუმი, 2002 წ;

ჯანაშია ს, საქართველო ადრეული ფეოდალიზმის გზაზე. შრომები I, თბ., 1949;

Лордкипанидзе, Г. А. К истории древней Колхиды, ТБ., 1970;

Лордкипанидзе, Г. А. К истории древней Колхиды ТБ., 1979;

Ломоури Н. Ю. К истории Понтийского царства. ТБ., 1979;

Ломоури Н. Ю. Римско-грузинские взаимноотношения, ТБ., 1981;

Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, ТБ., 1954;